მარტი
1932 წ.
№ 75

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
MARS
1932—№ 75

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—არისტიდ ბრიანი.
კაჟი—რუსეთის რევოლუცია.
მ. მ.—რამოდ. შენიშვნა კავ. პაქტის კონ. პ. შესახ.
საქართველო მსოფლიოს წინაშე.
კ. ქ—ძე—ჰიტლერი და რასისტული მოძრაობა.
ანჟანი—კავკ. კონფ. კონსტ. პროექტის შესახებ.
ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის.
საქართველოს ამბები.
უკრაინელთა შორის.
თურქესტანში.
მ. ანი—ქართველები გერმანიაში.
ოთარი—ისევ მსხვერპლი.
ქართველ უმუშევ. დამხმ. კომიტ. ანგარიშები.
ს. ფ—ისტორიული ამბები.



არისტიდ ბრიანი
(1862—1932)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტიდ ბრიანი

ევროპას ჰყოლია და ჰყავს ბევრი გამოჩენილი პიროვნება რომელთა სიკვდილი ახდენს დიდ შთაბეჭდილებას არა მარტო სამშობლოში, მის გადაღმაც, მთელს მსოფლიოში. ერთი ასეთი პიროვნება დაჰკარგა საფრანგეთმა: არისტიდ ბრიანი.

ჯერ კიდევ არ იყო გასვენებული ცხედარი, როცა საფრანგეთის პალატამ და სენატმა ერთხმათ დაადგინეს—«არისტიდ ბრიანმა სამშობლოს დიდი პატივისცემა დაიმსახურაო»—უმაღლესი ჯილდო, რომელსაც უბოძებს ხოლმე ფრანგის ერი თავის საუკეთესო შვილთ. შემდეგ, ეროვნულ გასვენების დღეს, მის წინ ქედი მოიხარა პარიზის ხალხმა, ერის ყველა წრეების დელეგაციებმა, ერთა ლიგის და უცხო სახელმწიფოთა განსაკუთრებულმა მისსიებმა, საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციებმა... ერთი სიტყვით, სურათი გრანდიოზული იყო.

ერთად ერთ სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა ანდრე ტარდიომ, აღწერილ იქნა არისტიდ ბრიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, ფრიად მდიდარი შინაარსით. მარტო ის ფაქტი, რომ განსვენებული თერთმეტჯერ პრემიერ-მინისტრი და ოცდა ექვსჯერ საგარეო მინისტრი იყო, საკმარისია ამის საილუსტრაციოთ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან დამსახურებად არისტიდ ბრიანის მოღვაწეობაში სამართლიანათ ითვლება ორი საქმე: ეკლესიის უმტკივნეულოთ გამოყოფა სახელმწიფოსაგან და განუწყვეტელი ზრუნვა საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის.

ერთი დიდი დამსახურება, რომელიც არ ხსენებულა სიტყვაში, მაგრამ დაუვიწყარია ქართველ ერისათვის, არის საქართველოს ცნობა უმაღლეს საბჭოს მიერ არისტიდ ბრიანის თავმჯდომარეობით. ამიტომ, გარდაიცვალა თუ არა, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ და ელჩმა სამძიმრის წერილებით მიმართეს, ქართველ ერის სახელით, პრემიერ-მინისტრს ანდრე ტარდიოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს მათ და ქართველმა ემიგრანტებმა სამგლოვიარო პროცესიაში.

ცოცხალ ყვავილებისგან შეკონილი დიდი ღერბი, რომელიც მიიტანა საქართველოს საელჩომ, შემდეგ წარწერას ატარებდა: «არისტიდ ბრიანს ქართველი ერი».

თქმულთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას ჩვენთვის. მშვიდობიანობის ერთგულობამ არისტიდ ბრიანი მოსკოვთანაც კი დაალაპარაკა! ამბობენ, და სიმართლესთან ახლოცაა, რომ ეს ჟესტი უფრო დიპლომატიური დივერსია იყოვო გერმანიის წინააღმდეგ, როცა უკანასკნელმა ავსტრიასთან საბაჟო გაერთიანება მოინდომაო. მართლაც, წარსულ სექტემბერს, როცა ეს კითხვა მთელის სიმწვავით იდგა ჟენევაში, არისტიდ ბრიანმა მიიღო ლიტვინოვი პირველათ და დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებას პარიზში.

ორი კითხვა გახდა ამ მოლაპარაკების საგანი: სავაჭრო ხელშეკრულება და თავდაუსხმელობის პაქტი. ჩქარა ჩამოვიდენ. მოსკოვიდან საბჭოთა მოხელენი და გამართეს ბჭობა სავაჭრო და საგარეო სამინისტროთა მოხელეებთან. მაშასადამე, ეს ჯერ კიდევ არ იყო ფორმალურათ კონფერენცია, საფრანგეთის მთავრობის წინაშე არც კი დასმულა კითხვა.

სავაჭრო ხელშეკრულობა ჩაიფუშა: მოსკოვმა მოითხოვა კრედიტები, პარიზმა კი უარი უთხრა და ამით გათავდა საქმე. რაც შეეხება თავდაუსხმელობის პაქტს, აქ კი ცოტა რამ მიღწეულ იქნა: დაიწერა პროექტი და ინიციალებით ხელი მოაწერეს (პარაფი). ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვის და პარიზის მთავრობათ უნდა განეხილათ იგი ცალ-ცალკე და, თუ მოუწონებდენ, რატიფიკაცია უნდა გაეკეთებიათ მისთვის. მაგრამ აქამდის არ მისულა საქმე, რადგან პარიზი იმ შემთხვევაში წავა ამაზე, თუ პოლონეთი და რუმინია დასდებენ მზგავს პაქტს მოსკოვთან. პოლონეთმა უკვე გააკეთა პარაფი საბჭოებთან, ხოლო რუმინიასთან, ბესარაბიის გამო, საქმე შეჩერდა.

აი, მოკლეთ საქმის ვითარება. რა მხრივ გვაინტერესებდა ჩვენ ეს? იმ მხრივ, რომ პარიზ-მოსკოვის პროექტში ჩატანებულია დაუსახელებლათ (მუხლი მე-4) საქართველოს საელჩოს მოხსნა, თუ პაქტი დამტკიცდა!

საფრანგეთის პრესის უდიდესი ნაწილი სასტიკათ ილაშქრებს საზოგადოთ პაქტის წინაამდეგ და საელჩოს მოხსნას კი სილაჩრედ ნათლავს. თან საერთაშორისო კონიუნქტურაც ძალზე შეიცვალა. ერთად ერთი სერიოზული მოტივი—ვითომ ამით გათიშავდენ მოსკოვს ბერლინისგან—ჩაფლავდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჟენევის განიარაღების კონფერენციამ, გათიშვის მაგიერ, ნამდვილი დემონსტრაცია მოახდინა და მოახდენს კიდევ მათი ბლოკისა...

ჩვენ ეს ეპიზოდი მოვიყვანეთ არა იმისთვის, რომ ჩრდილი მიგვეყენებია არისტიდ ბრიანის ხსოვნისათვის. ჩვენ ვიცით, რომ მას სრულიად არ ჰქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა განზრახვაში ჩვენი საელჩოს მოხსნა, როცა ლიტვინოვთან გააბა ბაასი. მას ასულდგმულებდა საერთაშორისო მშვიდობიანობა და საფრანგეთის ინტერესები, რომელიც არ მოითხოვს საქართველოს ინტერესების შეწირვას. ეს არის საფუძველი ჩვენი საელჩოს თერთმეტი წლის არსებობისა, მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყანა დაკავებულია უცხო ჯარებისგან.

როცა მოსკოვის პირველი ელჩი კრასინი შეეჩეხა ჩვენს ელჩს ელისეს სასახლეში, პირველ იანვარს 1925 წ., მან დაშიფრული ტელეგრამით ამცნო თავის მთავრობას: ეს მდგომარეობა ჩემთვის აუტანელიაო. რატომ? პასუხი გასცა ჩიჩერინმა და რაკოვსკიმ საბჭოთა კავშირის ეგზეკუტივის ყრილობაზე, იმავე წელს ტფილისში: საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ფრანკო-რუსულ კონფერენციაზე დეომონზიმ მისწერა კრასინს—საქართველოს საელჩო მოიხსნებაო!

საგულისხმიეროა მეორე ფრაზაც, რომლითაც გაუმასპინძლდა არისტიდ ბრიანი მოსკოვის მეორე ელჩს რაკოვსკის: ეს თქვენ არ გეხებათ, ბატონო ელჩო! ლაპარაკი იყო საქართველოს საელჩოზე, რომლის მოხსნისთვის რაკოვსკი თავს აბეზრებდა ბრიანს. ბოლოს, როგორც ვიცით, ბრიანმა პარიზიდან გაისტუმრა რაკოვსკი და საბჭოებმა კიდევ-მოსკოვიდან.

ოქტომბერი 1924 წ. მართლაც სახიფათო იყო საქართველოს საელჩოსთვის. საფრანგეთმა იცნო საბჭოები და მით თითქო იგულისხმებოდა საელჩოს გაქრობა. ეს არ მოხდა ორი მიზეზით: საფრანგეთმა, მისი დიდი ტრადიციების მიხედვით, არ წაიღო უკან თავისი სიტყვა და ქართველმა ერმა სწორეთ იმავე წლის აგვისტო-სექტემბერში აჩვენა ქვეყნიერებას, რომ ის არ დაუშვებს ძირს თავის ეროვნულ დროშას, ემბლემას დამოუკიდებლობისა და ხელმწიფებისა.

ჩვენ მივადექით იმავე ქართველ ერს, წყაროს ჩვენი იმედებისა და მომავლის. დიპლომატია კარგი საქმეა, მაგრამ მას არ ძალუძს ქვეყნის აღდგენა, თუ თვითონ ერი არ განაგრძობს გმირულ ბრძოლას ამისათვის. ამ ორი მომენტის შეფარდება-შეხამება—აი რა უნდა გვიდგეს მუდამ თვალწინ.

პასის ლამაზ სასაფლაოზე, პარიზში, სადაც დროებით დაკრძალული არის არისტიდ ბრიანი, თქვენ დაინახავთ გვირგვინების მთელს ზვინს სხვა და სხვა პირებისგან, დაწყებული უბრალო მომაკვდავიდან და გათავებული მეფეებით. მაგრამ მათ შორის სამი ლენტი იპყრობს ყურადღებას: მარჯვნივ საფრანგეთის პრეზიოენტის, მარცხნივ საფრანგეთის მთავრობის და შუაში ქართველი ერის. უამრავი ხალხი, რომელიც დღე-მუდამ რიგშია არისტიდ ბრიანის პატივის საცემლათ, ხედავს ამ წარწერებს, გაიგონებთ ხშირათ ხმამაღლა წარმოთქმულ სიტყვებს: «ქართველი ერი! ვიცით, ვიცით, ჩაგრული ქართველი ერი...»

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ფრანგის ერს, გარდა სხვა ღირსებათა, შნოცა აქვს, მან იცის, სად რა ეკუთვნის, რა ჩასწვდება ყველაზე ღრმათ მოზღვავებულ ხალხს გულში. გახსოვდეთ—თითქო ეუბნება ის მათ—არისტიდ ბრიანი ჩაგრულ ერთა მეგობარიც იყო.

აქვს თუ არა, შერჩა თუ არა ქართველს ეს შნო? აქვს, შერჩა. და ამას ის გამოაჩენს, როცა კვლავ აფრიალდება მის სამშობლოში თავისუფლების დროშა. მაშინ, მხოლოდ მაშინ ის დაუდგამს თავის დედაქალაქში ახოვან ძეგლს იმ პირს, რომელმაც იცნო ქართველი ერი და შეიყვანა საერთაშორისო ოჯახში.

რუსეთის რევოლუცია

I.

ამა წლის მარტში რუსეთის რევოლუციას 15 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში მან განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო და არა ერთი და ორი ფერიცვალება განიცადა. მიუხედავათ ამისა, იგი დღესაც ფინქსია და გადაჭრით არავინ იცის, ვინ არის იგი და საით მიემართება!

თებერვალი—ოქტომბერმა შესცვალა, სამხედრო კომუნიზმი—ნეპმა, ნეპი—ხუთწლედმა.

თებერვლის რევოლუციამ მეფის თვითმპყრობელობა დასცა, მეფის იმპერიალიზმი დაამარცხა—რუსეთის იმპერიიდან გავიდენ პოლონეთი და ფინლიანდია და ძალა-უფლება ლვოვი-კერენსკის დროებითს მთავრობას მიანიჭა. ეს უკანასკნელი რუსეთის ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ინტერესებისა და სურვილების გამომხატველი იყო. მას უნდოდა ომი ბოლომდის მიეყვანა, რუსეთის საზღვრები გაეფართოებია და შიგნით ბურჟუაზიული თავისუფლება დაემყარებია. მოკლეთ, მეფის ყოფილი რუსეთი ევროპიულათ მოეწყო.

უჯარო ბურჟუაზია და კაბინეთში აღზრდილი მეოცნებე ინტელიგენცია დამარცხდა. რევოლუცია სულ სხვა გზით მიიმართა, ვინემ მათ ეგონათ და სურდათ. თებერვლის რევოლუციის ხელმძღვანელებმა არარეალური ამოცანა დაუსახეს მას გადასაჭრელათ. ისინი ვერ მიხვდენ, რომ რუსეთის ხალხს ომის წარმოება არ შეეძლო. გარდა ამისა, რუსეთის რევოლუციის მომაძრავებელ ძალებს ევროპიული საზომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუდგენ. მათ დაავიწყდათ, რომ რუსის ხალხი უკულტურო, შეუგნებელი და შეუკავშირებელია. ამიტომ რევოლუციაში მას სტიქია დაეპატრონა და არა ორგანიზაცია. ცნობილი პობედონოსცევის პოლიტიკამ—რუსის ხალხის განვითარება ერთ წერტილზე უნდა გაიყინოს, თუ გვინდა მონარქია და რუსეთის თავისებურობა შევინახოთო, თავისი შედეგი გამოიღო. ვერც მონარქია შეინახეს და იმპერიაც გადაყოლეს მას.

რევოლუციის მთავარმა ძალებმა—პროლეტარიატმა და გლეხობამ, პოლიტიკურათ მოუმწიფებელმა და შეუკავშირებელმა მიიღო მონაწილეობა რევოლუციაში. ამ მოვლენამ დიდი გადამჭრელი როლი ითამაშა. ამით ხასიათდება რუსეთის რევოლუცია. გერმანიაში ყველა კლასები რევოლუციას პოლიტიკურათ გაწვრთნილი და კლასიურათ დარაზმული შეხვდენ. რუსეთში კი—შეუკავშირებელი და მოუმზადებელი.

ამიტომ რუსის ხალხი სტიქიას გაყვა, შორს ვერ განსჭვრიტა, მტერსა და მოყვარეში ვერ გაირკვა და დემაგოგია ჭეშმარიტებათ მიიღო. მან «ხვალინდელ ქათამს, დღევანდელი კვერცხი ამჯობინა», დემოკრატიულ რესპუბლიკას—დიქტატურა, თავისუფლებას—ანარქია და ძარცვა-გლეჯა.

ერთი სიტყვით, რუსის მუშებმა და გლეხობამ, ომთან ერთათ, თებერვლის რევოლუციის დემოკრატიული პროგრამაც უარყო. დროებითი მთავრობა დამარცხდა და ბოლშევიზმა გაიმარჯვა.

რევოლუციის ბელადები ლენინი და ტროცკი გახდენ. ორივე ისინი, თავის პარტიასთან ერთათ, რევოლუციონური მასსების პსიქოლოგიისა და მისწრაფების გაგებაში, დიდი რეალისტები აღმოჩნდენ. მარქსიზმის სკოლა ამ შემთხვევაში მათ ძლიერ გამოადგათ მაგრამ რევოლუციის ამოცანების დასმაში, ისინი გაცილებით უფრო დიდი უტოპისტები აღმოჩდენ, ვინემ თებერვლის რევოლუციის ხელმძღვანელნი. რუსეთის სინამდვილეს ანგარიში არც მათ გაუწიეს.

რუსეთის ჩამორჩენილ პროლეტარიატს ამოცანათ დაუსახეს სოციალური რევოლუციის ავანგარდობა და საერთოთ რუსეთის რევოლუცია—სოციალური რევოლუციის პლაცდარმათ გამოაცხადეს. ცხადია, ეს უტოპია იყო იმდენათ, რამდენათ იგი ჩამორჩენილი რუსეთის მუშებისა და გლეხების ძალას აღემატებოდა.

სანამ სტიქია ბობოქრობდა, სანამ სამოქალაქო ომი სწარმოებდა, რევოლუციონური კლასები ვერ ხედავდენ ბოლშევიკების მიერ დასახულ ამოცანასა და მათ ინტერესებს შორის არსებულ წინააღმდეგობას. მაგრამ, რა რომ სამოქალაქო ომი გათავდა და აგრეთვე ნათელი გახდა ევროპის რევოლუციების ბედი და სახე, რევოლუციონურმა მასსებმა ბოლშევიკებსაც შეაქციეს ზურგი. 1921 წ. მარტში მომხდარი კრონშდანტის აჯანყება ამის ნიშანი იყო.

შეშინებულმა ლენინმა უკან დაიხია, რუსეთის სინამდვილეს ანგარიში გაუწია და ნეპი შემოიღო. ის ამ დროს თავის პარტიას ასწავლიდა: გლეხობა დააკმაყოფილეთ და ვაჭრობა ისწავლეთო. ამით ლენინმა რევოლუცია უტოპიისგან გაანთავისუფლა, მისი ამოცანები რეალურ სინამდვილეს შეუფარდა და მასსების თვალში თავისი ავტორიტეტი ისევ აღადგინა.

ამ რიგათ, სამხედრო კომუნიზმის ხანა გათავდა. თვით ბოლშევიკების მიერ იგი სოციალიზმის კარიკატურათ იქნა გამოცხადებული.

ნეპს რუსეთის რევოლუცია მიყავდა ბურჟუაზიული წესწყობილების განმტკიცებისკენ. იგი ბოლოს, ამა თუ იმ სახით, ბოლშევიკური დიქტატურის ლიკვიდაციას მოახდენდა. ნეპის ლოდიკური განვითარება, უეჭველათ ამას მოგვცემდა. ეს იქნებოდა რუსეთის რეალური ძალთაგანწყობილების სწორი გამოხატულება.

როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში ლენინი, ამის თქმა ძნელია. შეიძლება «ანის» შემდეგ, იგი «ბანსაც» იტყოდა და ბოლშევიკური დიქტატურის ლიკვიდაციას მშვიდობიანი გზით მოახდენდა. ერთი კი ცხადია, მისმა მემკვიდრეებმა ეს გზა უარყვეს.

სტალინმა რუსეთის რევოლუციაში ახალი ხანა შექმნა. მან ისევ უტოპია მოახვია ზევიდან რუსის ხალხს და შეუფერებელი ტვირთი აკიდა მას. «ევროპისა და ამერიკის დაწევა და გასწრება», რუსეთს არ შეუძლია. მას ამისთვის არც მატერიალური და არც კულტურული შესაძლებლობა არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, ავტოს ქვეითა კაცი შეაჯიბრო, მატარებელს—ცხენით გამოეკიდო. ხუთწლედი კიდეც რომ განხორციელდეს, ამით რუსეთი ევროპა ვერ გახდება.

სტალინი ტყვილათ უმტკიცებს თავის ქვეშევრდომთ, რომ იგი სოციალიზმს ამყარებს. ერთ ქვეყანაში სოციალიზმი და ისიც ჩამორჩენილში, ვერ წარმოედგინათ მარქსა და ენგელს და იგი არ სწამდა არც ლენინს. სტალინმა ყურით რომ მიათრიოს ლენინი პოლიტბიუროში, ასეთ რასმეს მას, მაინც ვერ უპოვის. ეს ლენინიზმი კი არ არის, ეს სტალინიზმია და როცა კომუნისტი ოპოზიციონერები ლენინს სტალინისგან იცავენ, ისინი მართალი არიან. ამ ნიადაგზე ლენინის პარტია დაიშალა და მისი ადგილი ეხლა სტალინის პარტიას უკავია.

მართალია, სტალინის ხუთწლედი სოციალიზმის ისეთივე კარიკატურა არის, როგორიც ლენინის სამხედრო კომუნიზმი იყო, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობს.

სამხედრო კომუნიზმის დროს მუშები და გლეხები სტიქიურათ ანხორციელებდენ თავის მიზნებს. მუშები ეპატრონებოდენ ქარხნებსა და ბურჟუაზიის ქონებას, გლეხები—მიწებს. ამიტომ ისინი არ განიცდიდენ სამხ. კომუნიზმის შედეგების სიმწვავეს, ისე მკაცრათ, როგორც დანარჩენი კლასები. ამ დროს ბოლშევიზმი და რევოლუციონური კლასები ერთათ იყვენ.

წინაამდეგ სურათს აქვს ადგილი «ერთი ქვეყნის სოციალიზმის» ხანაში. ხუთწლედი მუშებსა და გლეხებს სტალინმა ზევიდან მოახვია. რომ საბჭოთა კავშირში თავისუფალი ანკეტა მოახდინოთ, მეტი თუ არა, მუშებისა და გლეხების 95 პროც. ხუთწლედისა და სოფლის კოლექტივიზაციის წინაამდეგ მისცემს ხმას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან სტალინმა მთელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში ყმური ურთიერთობა დაამყარა და მუშები და გლეხები სახელმწიფო კაპიტალიზმის უკიდურესი ექსპლოატაციის ობიექტათ გახადა.

სტალინი ანხორციელებს ხუთწლის გეგმას, მაგრამ მას გვერდში რევოლუციონური მასსები კი არ უდგია, როგორც ეს ლენინის სამხედრო კომუნიზმის ხანაში იყო, არამედ სახელმწიფო აპარატი და ჩეკა. მათში თავმოყრილია სხვადასხვა კლასებიდან ამოკრეფილი ავანტურისტული, კარიერის მაძიებელი, ელემენტები, რომლებიც თანდათან მართველი წოდების (და არა კლასის) სახეს ღებულობენ. აი ის ძალა, რომელზეც სტალინის დიქტატურა ემყარება და რომლის საშვალებითაც იგი ხუთწლედს ანხორციელებს.

პროლეტარიატი და გლეხობა აქ არაფერ შუაშია. ისინი დღეს მართველი კლასები აღარ არიან. მათი სახელით, როგორც სამართლიანათ აღნიშნავს რუსი სოციალდემოკრატი ოლღა დამანსკაია («სოც. ვესტ.» № 5), მხოლოდ ლაპარაკობენ. ეს არასფერს არ ნიშნავს. ნაპოლეონი მუდამ რევოლუციის სახელს ფიცულობდა და როცა ტახტს ართმევდენ, ისტერიულად გაიძახოდა—რევოლუცია იღუპებაო.

ამიტომ არც სტალინის რევოლუციონურმა ფრაზეოლოგიამ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში და არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან ის ფაქტი, რომ სტალინის დიქტატურამ რევოლუცია დატუქსა, განაიარაღა და რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალებთან იგი კონფლიქტშია. მათ შორის დღეს თანამშრომლობა კი არ არსებობს, როგორც ლენინისა და ტროცკის დიქტატურის ხანაში იყო, არამედ—ბრძოლა.

15 წლის წინეთ პროლეტარიატმა და გლეხობამ ბოლშევიკური დიქტატურა თავისი სისხლითა და ხორცით შექმნა. დღეს ისინი ერთმანეთს გაშორდენ და ეს არის რევოლუციის მთავარი დამახასიათებელი მომენტი და არა ის, რომ სტალინი ქარხნებს აშენებს.

ქართული ანდაზა ამბობს: «ძაღლი ვინც მოკლა, მან უნდა გადაათრიოსო». რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას ისტორია აკისრებს გაანთავისუფლოს რუსეთი ბოლშევიკების დიქტატურისგან. სხვა ძალა არ არსებობს. ბრძოლა უკვე დაწყებულია.

რა სახეს მიიღებს იგი და რას მოგვცემს შედეგათ, აი კითხვა, რომლის შესახებ დღეს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

კაჟი.

ჩეხია, 1932 წ. 15 მარტი.

რამოდენიმე შენიშვნა კავკასიის კონფედ. პაქტის პროექტისათვის

კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტის შემუშავება დიდი მოვლენაა კავკასელ ერთა ცხოვრებაში. ეს ამტკიცებს, რომ ისტორიის გაკვეთილებს ტყვილად არ ჩაუვლია და ამ ერთა ხელმძღვანელებმა შეიგნეს პირდაპირი კავშირის საჭიროება. ნურავინ იფიქრებს, რომ პროექტის მიზანი მიულწეველია პრაქტიკულად, რადგან კავკასია დღეს საბჭოთა ბატონობის ქვეშ იმყოფება. მართალია, პროექტი ეხლავე ძალაში ვერ შევა ხოლო ჩვენს წინაშე საზოგადოებრივი აზრის ფრიად მნიშვნელოვანი დემონსტრაციაა; კიდევ მეტი, პაქტის პროექტის შედგენა თავიდან აგვაცდენს ბევრს დავას, რომელიც შესაძლებელია ჩამოვარდეს კავკასიის ერთა თავისუფლების აღდგენის დროს. ამიტომ არ იქნება უსარგებლო, აქედანვე შევუდგეთ პროექტის განხილვას.

ამ წერილში ჩვენ საერთოდ გადავავლებთ თვალს პაქტს. შემდეგ კი თითოეული მუხლის დაწვრილებითს ანალიზს გავაკეთებთ და შეეცდებით აღვნიშნოთ პროექტის უმთავრესი თავისებურობანი და გავაშუქოთ ნაკლიც.

პროექტს აქვს კონფედერაციის პაქტის სახელი, რაიც ჰგულისხმობს, რომ საქმე გვაქვს სახელმწიფოთა კონფედერაციებთან. ხოლო რომელისამე დაწესებულების იურიდული ბუნების განსაზღვრისათვის საჭიროა ისეთი სახელის მოძებნა, რომელიც გარეგნულად კი არ მორთავს მას, არამედ გამოაცხადებს მის შინაგან აგებულობას. ამ უკანასკნელის მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ, თუ რომელ კატეგორიაში მოვათავსოთ ეს თუ ის დაწესებულება. ჩვენი პროექტის დებულებანი სავსებით ამართლებენ მის სახელს, რადგან აქ არსებითად სახელმწიფოთა კონფედერაციაა წარმოდგენილი.

მაშასადამე თავისთავად ისმება საკითხი, თუ რაა კონფედერაცია? ესაა სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო შეკავშირება, რომელსაც დასახული აქვს განსაკუთრებული მიზანი და აღჭურვილია საერთო ორგანოებით.

ვნახოთ რამდენად შეესაბამება ასეთი განსაზღვრა ჩვენს წინაშე მდებარე პროექტს.

1. კონფედერაცია არის საერთაშორისო შეკავშირება სუვერენულ სახელმწიფოთა. შეკავშირებულ სახელმწიფოთ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სუვერენობა. სახელმწიფონი სდებენ ურთიერთს შორის პაქტს, ხოლო უარს არ ამბობენ არც თავის სახელმწიფოებრივობაზე და არც დამოუკიდებლობაზე. კავკასიის კონფედერაციის პაქტის პირველი მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ წევრ-სახელმწიფოებს სრულად და სავსებით რჩებათ სუვერენობა. კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობის შენარჩუნებისაგან წარმოსდგება მნიშვნელოვანი შედეგი.

საერთო ორგანოში ყოველი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ერთხმად. შეუსაბამო აქ არაფერია. სუვერენული სახელმწიფო თვითაა თავის ბედის ბატონი. უცხო სახელმწიფოს არა შეუძლია რა დააკისროს მის დაუთანხმებლად. გადაწყვეტილებას რომ რაიმე ფასი ჰქონდეს, საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

�ა მისი დასტური. რას ვკითხულობთ ამის შესახებ კავკასიის პაქტში? მეთერთმეტე მუხლის მეოთხე პ. გვეუბნება: «სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთხმად».

მეორე შედეგი კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობის: პაქტი, როგორც ვთქვით უკვე, საერთაშორისო შეთანხმებაა. ხოლო საერთაშორისო უფლების პრინციპი მოითხოვს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულობის შეცვლა არ შეიძლება, თუ არა იმათი თანხმობით, ვინც ეს ხელშეკრულობა დასდვეს. კონფედერაციების პაქტებშიაც არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, თუ ამის თანხმობა არაა კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებისა. ამას ეხება კავკასიის კონფედერაციის პაქტის მე-16 მუხლი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რადგან კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს შენარჩუნებული აქვთ სუვერენობა. მათ თავისუფლად შეუძლიათ გავიდნენ კავშირიდან. ეს უდავო უფლებაა მათი. ერთ-ერთ ჩვენს ახლობელ წერილში დაწვრილებით შევეხებით ამ საგანს. ახლა ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს უფლება აუცილებლად იგულისხმება, კიდეც რომ არ იყოს პაქტში სახელდობრ მოხსენებული. კავკასიის პაქტიც სდუმს ამის თაობაზე, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებს რჩებათ კავშირიდან გასვლის სრული უფლება.

2. კონფედერაცია არსდება განსაკუთრებული მიზნისთვის. რა არის ეს მიზანი? საერთო თავდაცვა გარეშე თავდასხმისაგან. სახელმწიფოები, რომლებიც გრძნობენ, რომ ცალცალკე ვერ წინააღუდგებიან გარეშე მტერს,—კავშირდებიან, რომ ერთად მოიგერიონ მოწინააღმდეგე. ეს პაქტში პირდაპირ გამოთქმული არაა, მაგრამ გამომდინარეობს იმ ფაქტისაგან, რომ საგარეო სახელო (საგარეო საქმეთა გამგებლობა) ეკუთვნის ცენტრალურ ორგანოს. მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს მინიჭებული კონფედერაციის სახელმწიფოების წარმომადგენლობა უცხოეთში—შეკრას კავშირები და მშვიდობიანობის ხელშეკრულობანი და გამოაცხადოს ომი. ეს სამი საგანი იმყოფება ცენტრალურ ორგანოს სრულ გამგებლობაში. მაგრამ არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების თავისუფალ ნებისყოფით ხდება და სრულებით არ ასუსტებს მათ სუვერენობას. კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტში ეს უფლება გარკვეულია მე-2 და 4 მუხლებში.

3. კონფედერაცია აღჭურვილია საერთო ორგანიზაციით. ცენტრალურ ორგანოს არსებას შეადგენს ის, თუ რა ვალდებულება აქვს დაკისრებული მას კონფედერაციის მიერ. უნდა იყოს ცენტრალური ორგანო, რომელიც შესძლებს დავალების შესრულებას და განხორციელებას. ხოლო იგი უნდა მომდინარეობდეს შემადგენელ სახელმწიფოებისაგან, იყოს მათი გამოხატულება. იგი არასოდეს დამოუკიდებელი არ უნდა იყოს იმათგან, რადგან მათი შედგენილია. უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური ორგანო შესდგება ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, უკანასკნელნი ემორჩილებიან თავიანთ მთავრობების ინსტრუქციებს და მათ გადაწყვეტილებას ხშირად ესაჭიროება დასტური იმ სახელმწიფოთა, რომელთა დელეგატები ისინი არიან. ასეთია სწორედ ცენტრალური ხელისუფლება კავკასიის პაქტში. მთავარი ორგანოა სახელმწიფოთა საბჭო, რომელიც შესდგება კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა თითოეულ მთავრობის სამსამი დელეგატისაგან (მე-11 მუხლი). არსებობს აგრეთვე მუდმივი სამდივნო და საკონფედერაციო სასამართლო. ეს სრულიად ახალი და კარგი რამაა შეტანილი პროექტში და ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ ქვემოთ.

აღვნიშნავთ დასასრულ, რომ სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილების შემსრულებელნი არიან კონფედერაციაში შესული სახელმწიფოები (მუხ. 4). კონფედერაციას არ მოეპოვება აღმასრულებელი უფლება.

ზემო განხილულიდან ცხადად სჩანს, რომ ჩვენს წინაშე სახელმწიფოთა კონფედერაციაა. სომხეთი, აზერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია და საქართველო სდებენ ხსენებულ პაქტს, მაგრამ არ ჰკარგავენ თავიანთ სუვერენობას და არც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თვისებას. მხოლოდ ისინი უარს ამბობენ სუვერენობის ზოგიერთ უფლებაზე, რომელთაც გადასცემენ მათ წარმომადგენელ, საერთო ორგანოს. ეს საჭიროა უზრუნველსაყოფელად საგარეო თავდასხმის წინააღმდეგ.

საკმარისია თუ არა ესეთი კავშირი მსგავსი უშიშროების მოსაპოვებლად? ეს სხვა საკითხია, რომელსაც აქ ვერ შევეხებით. მართალია, ყოველ კონფედერაციას, რა სახისაც არ უნდა იყოს, ახასიათებს ის, რომ სიმტკიცე აკლია, მაგრამ უდავოა, რომ განხილული პაქტი დიდი ნაბიჯია კავკასიის ერების ერთმანეთთან დასაახლოვებლად და იგი დიდს სამსახურს გაუწევს მათ საერთო კეთილდღეობას.

მ. მ.

საქართველო მსოფლიოს წინაშე *)

ქართველი ერი—ერთი რუსეთის მიერ დამონებული კავკასიელ გმირულ ერთაგანი—კვლავ მოითხოვს თავის ადგილს ნაციათა ლიგაში. მოითხოვს იმიტომაც, რომ საუკუნეთა განმავლობაში შეადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის დამოუკიდებლობა ძალით იყო მოსპობილი; მოითხოვს ამას ერთა თვითგამორკვევის ძალითაც და ეს ხომ მიღებულია უდავოდ, თუმცა არა ყველასათვის, იმ ხელშეკრულობებში, რომელთაც მოაწესრიგეს გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის იმპერიების დამხობისაგან აღმოცენებულ სახელმწიფოთა საერთაშორისო მდგომარეობა.

რუს მეფეთა ტახტის დაქცევის შედეგი იყო რამ-

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო გავლენიან და სანახევროდ ოფიციოზურ ფრანგულ ჟურნალის «La revue diplomatique»ის ამა წლის თებერვლის №-ში. მისი ავტორია ემილ დე ფრემერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენისამე. პატარა სახელმწიფოს განთავისუფლება, რომელთა დამოუკიდებლობა წინად ძლიერმა მეზობელმა გააუქმა; ხოლო ზოგიერთები—უკრაინა, საქართველო, ადერბეიჯანი, სომხეთი, დროებით განთავისუფლებულნი, უარეს მონობაში ჩავარდნენ.

ჩვენ გვინდა დღეს მარტო საქართველოს მდგომარეობა განვიხილოთ საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით.

აღარ გამოვუდგებით შორეულ ამბებს და გავიხსენებთ მხოლოდ, რომ საქართველომ, დაუძლურებულმა განუწყვეტელი ომებით სპარსელებისა და ოსმალოების წინაამდეგ, მე-18 საუკ. ბოლოს მფარველობისა და კავშირის ხელშეკრულობა დასდვა რუსეთთან. ამ დიპლომატურს აქტს ხელი მოაწერეს 1783 წ. ივლისის 24 რუსეთის იმპერატრისამ ეკატერინე მეორემ და საქართველოს მეფემ ერეკლე მეორემ. მაგრამ ხელშეკრულობა უსინდისოდ იქნა მალე ფეხით გათელილი: 1801 წ. სექტემბრის 12 იმპერატორმა ალექსანდრე I გამოაცხადა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ყველამ უწყის, თუ რა გააფთრებით იბრძოდა საქართველო თავისუფლების დასაბრუნებლად. მისი თავგამოდებული წინაამდეგობა არ შეჩერებულა მთელი საუკუნის განმავლობაში.

1801 წელს შექმნილმა ძალმომრეობამ გამოიწვია პროტესტი საფრანგეთისა და ინგლისის მხრით. და სხვათა შორის ქართველებმა თავის უფლებათა დაცვა სთხოვეს 1897 წ. ჰაგის კონფერენციას.

რუსეთის დამხობამ საშუალება მისცა დაჩაგრულ ერს, კვლავ ამოეღო ხმა. ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც დაადასტურა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. მარტის 12. ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ 11 ივნისის 1920 წ. საქართველოს რესპუბლიკა იცნო ფაქტიურად, ხოლო შემდეგი წლის 27 იანვარს დე-იურე. საფრანგეთის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბრიანმა, აუწყა რა ეს გადაწყვეტილება საქართვ. საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს, უთხრა: «მოკავშირე სახელმწიფონი ბედნიერნი არიან, რომ შეუძლიათ კვლავ გამოუცხადონ თავისი თანაგრძნობა ქართველ ერს დამოუკიდებლობის მისწრაფებისათვის, და პატივისცემა უკვე შესრულებულ მიღწევებისათვის».

უმაღლეს საბჭოს ხუთ სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ბელგია და იაპონია) გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობა სხვა ბევრმა სახელმწიფომ იცნო დე-იურე და მათ რიცხვში პირველნი იყვნენ პოლონეთი და რუმინია. რუსეთმა პირველმა იცნო დე-იურე 1920 წ. მაისის 7 ხელშეკრულობით, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი სრული ნებით აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და უარს ამბობს ყოველ უფლებაზე ქართველი ერისა და საქართველოს ტერიტორიის შესახებ.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, რუსეთმა ფეხით გასთელა თავისი პირობა და 1921 წ. თებერვლის 11 შეესია ვერაგულად საქართველოს და თუმცა ქართველებმა ხუთი კვირის განმავლობაში სასტიკი წინაამდეგობა გაუწიეს, მთლად დაიკავა მათი მიწა-წყალი.

უფლების ასეთმა აშკარა ძალადობამ მთელი ქვეყნის აღშფოთება გამოიწვია. პირველი პროტესტი გამოაცხადა პარიზის ქალაქის საბჭომ დეპუტატ ბრიუნეს მეთაურობით.

1921 წ. თებერვლის 25 საქართველოს ელჩმა საფრანგეთში თავის რწმუნებულობის ქაღალდები წარუდგინა რესპუბლიკის პრეზიდენტს მილიერანს. ამის შემდეგ საქართველოს ლეგაცია (საელჩო) წესიერად არსებობს პარიზში. ეს გარემოება საკმაოდ მაჩვენებელია იმის, რომ საფრანგეთი არ სცნობს საქართველოს ოკუპაციას საბჭოთა ჯარების მიერ.

გარდა ამისა განვიხილოთ კარგად მთავრობის თავმჯდომარის ჰერიოს დეპეშის სიტყვები, რომლითაც მან 1924 წ. ოქტომბრის 28 იცნო დე-იურე საბჭოთა კავშირის მთავრობა. აქ არის საზოგადო რეზერვი (ვცნობილობთ დე-იურე მთავრობას ყოფილი რუსეთის იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი ძალაუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ) და სპეციალურიც საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, როდესაც ნათქვამია, რომ «ამ ცნობას არ შეუძლია რაიმე დაზიანება მიაყენოს წინად მიღებულ ვალდებულებათო».

გენუის კონფერენციაზე საბჭოებს უნდოდათ, რომ ისინი ყოფილიყვნენ წარმომადგენელნი არა მარტო რუსეთისა, არამედ მის ოკუპაციის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებისაც. ესეთი მოთხოვნა უკუგდებულ იქმნა საფრანგეთის დეპუტატის უტრეის მიერ, რომელმაც ასეთი კითხვა დაუსვა პუანკარეს: «საბჭოებს პრეტენზია აქვთ რუსეთის დელეგატების სიას დაუმატონ კიდევ სხვა დელეგატები ვითარცა წარმომადგენელნი კავკასიის სახელმწიფოების, იმ მოსაზრებით, რომ ეს სახელმწიფოები მათ დაიკავეს». მთავრობის თავმჯდომარემ ამას გადაჭრილი პასუხი გასცა: «რაკი დე-იურე ცნობილი საქართველო არაა დაშვებული კონფერენციაზე, მით უფრო შეუძლებელია რუსეთს მიეცეს უფლება იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლობისა, რომელთაც შეესია და ძალმომრეობით დაიკავა».

ე. ჰერიომ მთელი თავის მჭევრმეტყველობით დაიცვა ქართველები: «საქართველოს სუვერენობა ფორმალურად იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულობით რუსეთმაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას. ამის თქმა საფრანგეთის მხრით, რომელიც იცავდა პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას, იმედს განუმტკიცებს დაჩაგრულ ერს». პუანკარემ უპასუხა: «პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოსთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. უკანასკნელს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარები».

ორი თვის შემდეგ საკითხი ხელახლა აღიძრა დეპუტატთა პალატაში. მთავრობის თავმჯდომარემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარის ბარტუსთვის მიცემულ ინსტრუქციაში გარკვევით განმარტა, რომ მოსკოვის დელეგატები და არც მოსკოვის მთავრობის აგენტები ტფილისში, არ უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი საქართველოს წარმომადგენლებად. ამიტომაც ამაოდ ჩაუარა ჩიჩერინს ყოველივე ცდამ, რომ საქართველოს სახელითაც ელაპარაკნა. ეს ინსტრუქცია პუანკარემ წაიკითხა პალატაში და სთქვა: «საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად იცნო დე-იურე საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიურ ძალაუფლების წარმომადგენელებთან, რომელმაც საქართველოდან გამოაძევა მისი წესიერი მთავრობა».

ლოზანის კონფერენციაზე (1922-23 წლ.) რუსეთის დელეგაციამ განაახლა თავისი ცდა, მაგრამ უშედეგოთ. კიდევ მეტი: რუსეთის დელეგაციის მოთხოვნით კონფერენციის პროტოკოლებში მოხსენებულ იქმნა საქართველო და უკრაინა. კონფერენციის მთავარმა მდივანმა მასილიმ 1922 წ. დეკემბრის 22 მისწერა რუსეთის დელეგაციის მდივანს საბანინს: «თუ თქვენი დელეგატების გვარებს თან მოსდევს «რუსეთი», ეს იმიტომ, რომ ოფიციალურად მარტო რუსეთია მოწვეული კონფერენციაზე. ხოლო კონფერენციის თავმჯდომარეებთან მოლაპარაკების შემდეგ მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ანგარიში გაეწევა თქვენს სურვილს, მაგრამ ამავე დროს პროტოკოლების საბოლოო ტექსტში სიტყვა «რუსეთის» მაგიერ შეტანა სიტყვების «რუსეთი, უკრაინა და საქართველო» არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმებს, რომ უკრაინა და საქართველო კონფერენციაზე წესიერად არიან წარმოდგენილნი».

ასე იყო დაცული უდავო უფლებები უკრაინისა და საქართველოსი, ორ მამაც ერისა, რომლებიც ერთხელ აღსდგნენ და აღარ უნდათ კვლავ იქნენ დასაფლავებულნი საბჭოების მიერ. მათ აქვთ უფლება დამოუკიდებლობისა, თუმცა მათი მდგომარეობა განსხვავდა ფინლანდიის, ესტონეთის, ლეტონიის და ლიტვის მდგომარეობისაგან. ეროვნული სული მარადიულია და ადრე თუ გვიან ამოძრავდება.

საქართველოს, რომლის საქმეს იცავდენ ისეთი ადამიანები, როგორც პუანკარე, ჰერიო, უტრეი, გამოესარჩლა ჟენევაში საფრანგეთის ყველაზე უმჭევრმეტყველესი ხმა პოლბონკურისა.

საფრანგეთის წარმომადგენელის პოლ-ბონკურის ინიციატივით, ნაციათა ლიგის მეხუთე საერთო კრება 1924 წ. კვლავ შეეხო საქართველოს საკითხს და ერთხმად მიიღო საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის შემოტანილი რეზოლიუცია საქართველოს საკითხის ვადაჭრისათვის ხელის შესაწყობად.

ნაციათა ლიგის ვალია, დაუბრუნოს სიცოცხლე საქართველოს და უკრაინას. მათი კეთილშობილური და ღირსებიანი წარსული ავალებს მთელს განათლებულს კაცობრიობას, რომ დასრულდეს მათი აწინდელი ტანჯვა.

ჰიტლერი და რასისტული მოძრაობა

(გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნების გამო)

გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნები დიდ პოლიტიკურ დავას და საზოგადოებრივ ძალთა დაღლილს იწვევს არა მარტო გერმანიაში; ამ არჩევნებს დიდის ინტერესით და გასაგები მოუთმენლობით, თუ გნებავთ ერთგვარი შიშით, თვალყურს ადევნებს მთელი ქვეყანა. მართლაც, საკითხი ეხება არა მარტო ამა თუ იმ პირის არჩევას, რომელსაც ცუდათ თუ უკეთ შეუძლია ქვეყნის ბედის წარმართვა და რომელიც მისცემს მართველობას ამა თუ იმ ტენდენციას. არა, დღეს გერმანიაში ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ისმება საკითხი რეჟიმის, არსებული ვეიმარის კონსტიტუციის შენახვის თუ დამხობის შესახებ. ამის გამო გერმანია ორ ბანაკათ გაიყო: ერთი ბანაკი არსებულ რეჟიმის დასაცავათ ირაზმება, მეორე კი არსებითად ამ რეჟიმის დასანგრევათ მოსვლას აპირებს. და დახეთ ბედს, ძველი მარშალი, ეხლანდელი პრეზიდენტი ჰინდენბურგი გახდა ის პირი, რომლის გარშემო იკრიბებიან არსებული კონსტიტუციის დამცველი საზოგადოებრივი ძალები. გერმანიის ს. დემოკრატია, რომელიც წინა საპარლამენტო არჩევნებში ჰინდენბურგს ებრძოდა, დღეს მის საპრეზიდენტო პოსტზე აყვანას ესარჩლება და ხელს უწყობს. ის თავის საარჩევნო მანიფესტში მოუწოდებს ამრჩევლებს და თავის წევრებს, ხმა მისცენ ჰინდენბურგს, რომ ამით გზა შეუკრან ჰიტლერის გამარჯვებას.

ეს ჰიტლერი, რომელიც დღეს ასე გაბედულათ ეცილება ჰინდენბურგს, არის მეთაური და შემქნელი იმ ძალის, რომელსაც გამზადებული აქვს მუშტი რესპუბლიკანურ რეჟიმის დასამხობათ, ეს ძალა— რასისტული მოძრაობაა. გერმანიის ხალხის ზოგი წრეების ნაციონალისტური სულიერი განწყობილების გამოხატულებაა, რომელიც თანდათანობით შეიკრა, გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებში მოთავსდა და ნაციონალისტურ-სოციალისტური პარტიის სახელწოდება მიიღო.

გერმანიის ერი დღეს დიდ გასაჭირშია. მსოფლიო კრიზისი, რომელიც კაი ხანია საზოგადოთ ყველა ქვეყანას მოედო, განსაკუთრებითი სიძლიერით თავს დაატყდა გერმანიას, რომლის ეკონომიურ-სოციალური საფუძველი ამის გამო მთლათ აინგრა და აიშალა. გერმანიის ცხოვრების ყველა მცოდნე თუ მეთვალყურე ამოწმებს, რომ გერმანიის ერის კეთილდეობა შერყეულია, მისი სხეულის სოციალური ფენები მისი ქერქიდან ამოგდებულია. ერი წინეთ მდიდარი, მშრომელი, მუყაითი და კეთილ ცხოვრებას შეჩვეული, დღეს ისე დაცემულია, რომ გერმანიის ყველა დიდ ქალაქებში ათასობით გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყრებით მათხოვრებს, ქუჩებში მოხეტიალეთ, რომლებიც მოურიდებლათ ხელს გიწვდიან და პურს და შველას გთხოვენ. ეკონომიური დეპრესია ღრმათ და ფართეთ გამდგარია გერმანიის სახალხო მეურნეობაში. უკვე ის ფაქტი, რომ გერმანიის სახელმწიფო სალარო იძულებულია წლობით ყოველდღე სახელმწიფო ულუფა აძლიოს ექვს მილიონ უმუშევართ, ნათლათ მოგვითხრობს იმ მწარე ბედს, რომელიც თავს დასტეხია. გერმანიაში დღეს ბევრი ქარხანა-ფაბრიკები იკეტება, ბანკები იხურება, ვაჭრობა ეცემა, უმუშევართა ჯარს ახალ-ახალი ნაწილები ემატება. გაჭირვებული ხალხი, თავის ბუდიდან ამოგდებული სოციალური ძალები დრტვინავენ, აქეთ-იქით ეხეთქებიან, თავბრუდახვეულნი გამოსავალს დაეძებენ. აი აქ, ამ წრეში ჩაისახა რასისტული მოძრაობა, აქ, ამ წრეების ნატვრის, წუხილის, გაჭირვების, მოთხოვნის, გაურკვეველი განცდების ფილოსოფიაა ის ოთხი ძირითადი საფუძველი, რომელიც ახასიათებს ამ მოძრაობას. ბრძოლა ებრაელების, უცხოელების, მარქსისტების და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, აი მათ პროგრამის ოთხ პუნქტში მოცემულია გასაღები გერმანიის ვითარების გასაგებათ და იმ მიზნის, რომელიც ამ მოძრაობას დაუსახავს შინ და გარეთ.

იმ კონსტიტუციაში, რომელმაც უნდა შესცვალოს, რასისტების აზრით, ეხლანდელი კონსტიტუცია, სხვათა შორის, არის მუხლი, სადაც განსაზღვრულია, თუ ვის შეუძლია იყოს «მესამე რაიხის» მოქალაქე. «გერმანიის მოქალაქე არის ის ადამიანი, რომლის ძარღვებში გერმანული სისხლი სჩქეფს, რადგან ებრაელები გერმანელ რასას არ ეკუთვნიაან, მათ არ შეუძლიათ იყვნენ გერმანიის მოქალაქენი».

მართალია, ამბობს ერთი რასიზმის იდეოლოგი, ებრაელი ადამიანია, მარა იმდენათ, რამდენათ მგელი ცხოველია. როგორც მგელის სხვა ცხოველებთან დაბინავება არ შეიძლება, მაგ. ცხვრებთან, ისე შეუძლებელია ებრაელის მოქალაქეთ ჩარიცხვა. გაკოტრებული წვრილი ვაჭარი, სტუდენტი, წვრილი მესაკუთრე ამ პარტიის სახით მათ ერეკებიან გერმანიის ტერიტორიის საარსებო მოედნიდან.

გერმანია ეკუთვნის და უნდა ეკუთვნოდეს წმინდა გერმანელებს. აქ ხელის შემშლელი, ყველა გერმანელთა ერთობის და უნიფიკიციის მოწინააღმდეგე, გარდა ვერსალის ტრაქტატის და მაშასადამე საფრანგეთის, არის კაპიტალიზმი და კაპიტალიზმი ინტერნაციონალური-უმთავრესად ებრაელური. ამიტომ მათი პროგრამის თეორიული კონცეპცია, ისე თვით პროგრამის მოთხოვნილება მოურიდებლათ და პირდაპირ თავს ესხმის კაპიტალიზმს, დიდ ტრესტებს და ყოველგვარ დიდ ანონიმურ ინდუსტრიალურ საზოგადოებებს. ნაც. სოც. პარტიის პროგრამა მოითხოვს, რომ «უნდა მოსპობილ იქნას ყოველგვარი შემოსავალი, რომელიც არ არის აღმოცენებული შრომასა და მუშაობაზე». თუ ინტერნაციონალური, ებრაული კაპიტალი დამგრეველი ძალაა, რომელიც სპობს და ანგრევს წვრილ მესაკუთრეთა ქონებას, არის კაპიტალი ნაციონალური, რომლის ვალია ერის საშვალო და პატარა მესაკუთრეთა ქონება და წარმოება გაამაგროს, მათ დახმარება გაუწიოს, მათ მოვლაზე იზრუნოს. ყველას ვალდებულებაა იშრომოს, ყველას აქვს შრომის უფლება (რასაკვირველაა, წმინდა სისხლის გერმანელს!) მაშასადამე საჭიროა ეკონომიური წყობის ისეთი რეორგანიზაცია, რომელიც ნაციონალური კაპიტალის ამშენებელ როლის, ერთის მხრივ, და შრომის უფლების გატარების საჭიროებას, მეორე მხრივ, მოაწყობს და შეათავსებს. ამ დიდი მიზნის მისაღწევათ ისტორიამ გამოიწვია რასისტული მოძრაობა, შექმნა ნაც. სოც. პარტია. მაშ მათი სამღვთო ვალია მართველობის სადავე თუ გინდ ძალით ხელში აიღონ, ნაციონალურ შემოქმედებას გზა გაუხსნან და შექმნან პირობები საბრძოლველათ შინ და გარეთ.

ერთი არსებითი პირობა ამოცანის შესრულების გასაადვილებლათ არის რესპუბლიკანური რეჟიმის დაცემა, ვეიმარის კონსტიტუციის მოსპობა და მართველობის პერსონიფიკაცია—დიქტატურა. მათი აზრით ასეთი დიქტატურა წარმოშობით არის კოლექტიური, თუ გნებავთ დემოკრატიული, რადგან ერის არსებობის და განვითარების ინტერესები და მისი კოლექტიური ნება ქმნის დიქტატურას, აყენებს დიქტატორს.

თუ შიგნით რასიზმი ნაციონალისტური რეაქციაა, რესპუბლიკანური რეჟიმის მტერია, თუ მას აქ, თავის პროგრამაში ხელოვნურათ შეზავებული აქვს ნაციონალისტური დემაგოგია სოციალურ ეკონომიურ უტოპიასთან, საგარეო პოლიტიკის სფეროში ეს მოძრაობა გარკვეულ მიზანს ისახავს, გაბედულათ მას ამეღავნებს და მთელ გერმანიას აქეთ, ამ ბრძოლისაკენ იხმობს და ამზადებს. გერმანია დაჩაგრული, უფლება აყრილი სახელმწიფოა,—ამბობენ რასიზმის იდეოლოგები—მთელი ის გაჭირვება, რომელშიდაც ის დღეს ჩავარდნილია, არის შედეგი ვერსალის ხელშეკრულობის, ჩვენი ეკონომიური კრიზისის სათავე აქ სძევს; აქ. ამ ტრაქტატში ფრანგების ხელით გაიჭედა ის ჯაჭვი, რომელიც გვახრჩობს, გვიკრავს ხელფეხს, გვტაცებს ლუკმა-პურს, ასაზრდოებს უმუშევრობას, გვხდის მონებათ. «გერმანია აღსდექი, გაიღვიძე».—გაჰყვირიან ამ პარტიის აგიტატორები. რისთვის? უსდა დაიხეს ვერსალის ტრაქტატი, უნდა აღსდგეს დიდი გერმანია! «ჩვენ ვთხოულობთ გერმანიისათვის ისეთსავე უფლებებს, რომელთაც სარგებლობენ ყველა დანარჩენი ერები. ჩვენ მოვითხოვთ ვერსალის და სენ-ჟერმენის ხელშეკრულობების გაუქმებას»—სწერია ნ. ს. პარტიის პროგრამაში. ჰიტლერი სწერს: «უნდა იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი ერის დაუძინებელი მტერი საფრანგეთია. ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უნდა შევებათ მას... და მხოლოთ მისი დამარცხების შემდეგ გერმანიას გზა გაეხსნება თავისუფალი განვითარებისაკენ».

როგორც ვხედავთ, ის ომის პარტიაა შინ და გარეთაც, ამას არც კი მალავს, ამაზე ის სწერს და ჰყვირის. შინ ეს პარტია ყოველი საშვალებით, რევოლიუციური შეთქმულობით იწევს სახელმწიფოს სადავეს ხელში ასაღებათ.

ასე ამ რიგათ, გარკვეულ ისტორიულ ვითარე-

ბაში, გარკვეულ წრეში ჩაისახა და განვითარდა რასისტული მოძრაობა. თუ 1928 წ. ამ მოძრაობას წარმოადგენდა 12 დეპუტატი, 1930 წ. ნაც. სოც. პარტიამ იქ წარგზავნა 107 დეპ. დღეს პარტიის რიგებში 900.000 წევრი ირიცხება. ზრდა უჩვეულო, საოცარია. პარტიის ორგანიზაციის წყობა ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით, მარა ყველა ეს ორგანიზაციული ფორმაციები თავს იყრის ერთ ცენტრში რომლის სათავეში სდგას ყველას მიერ უდავო ხელმძღვანელათ ცნობილი ჰიტლერი: ის დიქტატორია. დეკრეტების და ბრძანებების მომცემი; მის გვერდით არსებობს შტაბი. რომლის ამოცანაა საკითხების დამუშავება, გეგმების დაწყობა, მდგომარეობის დაფასება, იმფორმციის აკრეფა. მაგრამ დასკვნას აკეთებს ჰიტლერი, განკარგულებას იძლევა მხოლოთ ის.

პირველი შეხედვით ის კაცი, რომელმაც შექმნა ასეთი დიდი მოძრაობა, თითქოს არ იძლევა არავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. მისი ტანის ასპექტი მეტათ ბანალურია, მისი ტანის ხაზები სადა და უსიტყვოა. ის უფრო მოგაგონებს ლუდხანის უბრალო მოსამსახურეს, ვინემ შეფს იმ მოძრაობისა, რომლის ასეთი უცაბედი ზრდა ემუქრება გერმანიის რესპუბლიკანურ რეჟიმს და შეიძლება მსოფლიო მყუდროებას. მარა ვისაც უნახავს ჰიტლერი მოლაპარაკე, მომქმედი, ამოწმებს, რომ ის ტრიბუნაზე სრულიათ იცვლება: მისი თვალები ცეცხლს ყრის, მარა ამით მოცემული ბრწყინვალება ცივი და მკაცრია, ხმა თბილი, მოძრავი, რომლის ბგერა სასიამოვნო და მიმზიდველია. ის დიდი ორატორია, გერმანიისათვის უჩვეულო სახალხო ტრიბუნია. ჰიტლერი ათრობს მსმენელთ, ხიბლავს, აჯადოებს მათ, ისე რომ მათ სჯერათ ყველაფერი, რასაც ასე უხვათ და მოხდენილათ რაღაც განსაკუთრებულ ექსტაზით მსმენელთ უხატავს. «მე ვაარსებ მესამე რაიხს»—გაისმის მისი მქუხარე ხმა, «მაშინ და მხოლოდ მაშინ გერმანია დაიბრუნებს თავისუფლებას, გაიჩენს საზრდოს». «Il fascine littéralement les foules»—ამბობს მის შესახებ ფრანგი კლოტ ჟანტეტი.

წინეთ სრულიათ უცნობი, გვარტომობით ავსტრიელი, დაბალი წრის შვილი, ხელობით მღებავი, დღეს ის გერმანიის პოლიტიკის მოედანზე გამოსულია, რომლის უკან 11 მილიონი ამრჩევლები სდგას. ამიტომ დღეს ჰიტლერი მოქმედებს და ლაპარაკობს როგორც გერმანიის მომავალი გამკითხავი, მისი მომავლის გამჭედი. ამიტომაა, რომ ის ისე გაკადნიერდა, რომ ყველას წინაამდეგ, ცნობილ ჰინდერბურგის გვერდით თვის კანდიდატს აყენებს, და როგორც ვიცით, ეს თვით ჰიტლერია. ჰიტლერი ფიქრობს, მას სჯერა, რომ დღეიდან ის იწყებს მსოფლიო ისტორიის ფურცლების შევსებას. ყოველ შემთხვევაში ბრძოლა დაწყებულია; ვინ გაიმარჯვებს, ჰინდენბურგი თუ ჰიტლერი?

ამ ბრძოლის დასკვნას მსოფლიო ხასიათის წონა ეძლევა.

ვ. ქ—ძე.

კავკ. კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტის შესახებ *)

გამოქვეყნებული პროექტი მომავალ კონფედერაციისა მას პაქტს არქმევს. ჩემის აზრით არ აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ რა სახელით მოინათლება ის. მთავარია, თუ რა იქნება მისი შინაარსი, რომლისაგანაც დამოკიდებულია მიზნის მიღწევა: ოთხ ერთა კავშირით, ერთი მეორეს მეოხებით თავის დაცვა, გამაგრება პოლიტიკურათ და ეკონომიურათ და ამავე დროს შენარჩუნება ეროვნულ—კულტურულ დამოუკიდებლობისა და თავისუფალ განვითარების, და სახელმწიფო სუვერენობის. მთლიანად და სავსებით ასეთი სურვილის განხორციელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. როცა ერთი ერი მეორეს დაეყრდნობა, დათმობაც აუცილებელია (განა არსებობს აბსოლიუტურათ დამოუკიდებელი სახელმწიფო?), მარა ეს ურთიერთობა ისეთი მაინც უნდა იყოს, რომ ერმა არა თუ არ დაკარგოს, არამედ გარკვევით და ნაკლების სიძნელით მოახერხოს თავისი ეროვნული სახის დაცვა და შენახვა. ეს კი შესაძლებელია კონფედერაციის ფარგლებში უფრო. ვინემ ფედერალურ კავშირში. ამ მხრით ის სრულიად მისაღებია.

პროექტი ერთობ მარტივია, და ეს არ არის მისი ნაკლი (ძირითადი დებულებების გამოთქმა ხშირათ ძნელია), პირიქით, რაც ის მოკლეთ, ნათლათ და მკაფიოთ არის განმარტებული, მით ის დადებითია და ეს მისი ღირსების ნიშანია. მარა «მოკლეთ თქმის» სურვილმა არ უნდა შეიწიროს შინაარსი, რის თქმაც უთუოთ წინდაწინ საჭიროა. ყველაფერი უნდა იყოს თავის დროზე გათვალისწინებული, რომ შემდეგში რაიმე დაბრკოლებას არ გადავეხეჩოთ.

თავიდანვე უნდა აღვიარო, რომ საერთოთ და არსებითათ პროექტი მისაღებია. ხოლო ჩემის აზრით, არის საჭირო ცოტა რამეს დამატება, ზოგის განმარტება და შესწორებაც კი. რადგან მე იურისტობას არ ვიჩემებ, ამისათვის ჩემ მცირე შენიშვნას ექნება უფრო პოლიტიკური სიფრთხილისა და მითითების ხასიათი, რომელსაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება მათ მიერ, ვინც ასეთ საკითხებში დახელოვნებულია და ვინაც შემდეგ ისე უნდა გააშალაშინოს საგანი, რომ ის შეიქნეს მოსახმარი, პრაქტიკული და სავსებით გამოსადეგი; რომ ამგვა-

*) როგორც გამოცხადებული გვქონდა, რედაქცია დაბეჭდავს სხვადასხვა პირთა მოსაზრებათ კავ. კონფ. კონსტიტუციის პროექტის შესახებ და შემდეგ ყველას ერთად გავსცემთ პასუხს. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ. ანჟანის ზოგიერთი შენიშვნა გაუგებრობითაა გამოწვეული.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ რომელიმე მუხლიდან არ გამოდიოდეს ისეთი დასკვნა, რომელსაც ესაჭიროებოდეს რამდენიმე ახსნა-კომენტარი.

აი, ეს შენიშვნებიც. მივყვები მუხლობრივ.

1. რადგან ეს არსად არ არის აღნიშნული, მეორე მუხლში იქ, სადაც ნათქვამია, რომ «მხოლოდ კონფედ. აქვს უფლება გამოაცხადოს ომი», უნდა დაემატოს: «და აწარმოვოს. «შეკრას კავშირები» დასხვა. ვისთან? უნდა დაემატოს: უცხო სახელმწიფოებთან.

2. მესამე მუხლი—ჩემის ფიქრით—არ უნდა უკრძალავდეს წევრებს—სახელმწიფოებს ერთმანეთ შორის «ყოველივე კავშირს», რადგან არსებობს დასაშვები ხელშეკრულება, რომელიც ეხება განათლებას, ვაჭართა პატენტს, შრომის ორგანიზაციას, დამნაშევეთ ექსტრადიციას, მეორე სახელმწიფოს მოქალაქის ან უცხოელის გაძევებას და სხვადასხვა. თუ ეს არ მოგვარდა, საშიშია თბილისი არ გადაიქცეს რაღაც ბაბილონის მსგავს რამეთ.

3. რაც შეეხება საკონფედარაციო სასამართლოს, აქ უთუოთ საჭიროა შესწორების შეტანა. არ ვიცით, რათ არის საჭირო სასამართლოს წევრების დანიშვნა «მთელი სიცოცხლით». ეს ზომა არ არის დემოკრატიული, არც პრაქტიკული და მუდმივი მოსამართლე არ წარმოადგენს—როგორც ამას პროექტის ავტორები ფიქრობენ ალბათ—იმის გარანტიას, რომ სამართალი იქნება კარგი და მიუდგომელი. რათ უნდა შევქნათ ისეთი პირობები, რომ ვერ შევსძლოთ თავიდან მოვიშოროთ რომელიმე მოსამართლე, თუ ის გამოდგა უვარგისი და არასასურველი. ამას გარდა—დიდ ბოდიშს ვიხდი მომავალ მოსამართლესთან—ღრმად მოხუცებულ მოსამართლეს (და რა თქმა უნდა, ჩვენ მას უსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს) კიდევ შეეძლება დაესწროს სასამართლოს სხდომებს, მარა ვეღარ შეეძლება იქონიოს საკმაო ძალა და გამჭრიახობა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საკითხების გადაწყვეტაში და ასეთი მოსამართლით რას მოვიგებთ? მაშ, საკონფ. სასამართლოს წევრი უნდა იქმნეს არჩეული განსაზღვრულ ვადით. რა თქმა უნდა შესაძლებელი იქნება მისი ხელახლა არჩევა.—ამას გარდა სამ მოსამართლეს უთუოთ უნდა ყავდეს ერთი ან ორი მოადგილე, როგორც ეს ყოველგან ხდება ხოლმე, რადგან იქნება შემთხვევა, როცა რომელიმე წევრს არ შეეძლება სხდომაზე დასწრება სხვადასხვა მიზეზებისა ან ხანგრძლივი ავათმყოფობის გამო.

4 რაც შეეხება მე 13 მუხლის მეორე ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ «ყოველივე დავას»... განიხილავს საკონფ. სასამართლო და რომ მისი დადგენილება სავალდებულოა ყველასათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ადგილი ეწინააღმდეგება მერვე მუხლს, სადაც ლაპარაკია არბიტრაჟის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ დადგენილება იქნება სავალდებულო, თუ საკითხი სასამართლოში გადაწყდა ერთხმათ, და თუ რომელიმე სახელმწიფო არ დარჩა კმაყოფილი სასამართლოს დადგენილებით, მას უნდა ქონდეს უფლება მიმართოს ან—ვთქვათ—ერთა ლიგის ან რომელიმე სხვაგვარ არბიტრაჟს, უკვე სავალდებულოს.

5 ეხლა მე ვკითხულობ: შეუძლია თუ არა კონფედერაციის რომელიმე წევრს გამოვიდეს კონფედერაციიდან? ამის შესახებ არ არის რა კონსტიტუციის პროექტში. თუ ვინმეს ამის უფლება არ აქვს, მაშინ იმ შესავალში, რომელიც მიუძღვის პროექტს (და როველიც სხვათა შორის უნდა გახდეს მუხლი პირველი) უნდა იყოს ნათქვამი, რომ პაქტი დადებულია სამუდამოთ. მე კი ვფიქრობ, რომ კონფედერაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა უნდა მიეცეს მის წევრს, თუ ამას სახელმწიფოთა საბჭო მიიღებს ერთხმად, და ეს უნდა იყოს მოხსენებული.

6. შესაძლოა კონფედერაციის შეთანხმებით დაშლა თუ არა? ეს საკითხი, მე ვფიქრობ, უნდა დარჩეს კონსტიტუციის გარეშე, რადგან კონფედერაციის გაქრობა მოხდება მხოლოდ force majeur ით, თუმცა ისტორიამ იცის ორი სახელმწიფოს განშორება თავისუფალ შეთანხმებით (შვეიცია და ნორვეგია).

7. შეიძლება თუ არა რომელიმე უღირსი წევრის კონფედერაციიდან გაძევება? აღიარებული ცოდვა ადვილათ მოსანანებელია და როგორც ვიცით, ისეთ ადგილას ვართ გახლართული, ისეთი მეზობლებით ვართ გარემოცული, რომ ინტრიგას ყოველთვის შეუძლია ქონდეს ადგილი და ვინ იცის, ერთ დღეს რა აზრი მოუვა თავში კონფ. წევრის რომელიმე მთავრობას. არის თუ არა საჭირო ამის გათვალისწინება? ამაზე პასუხის მიცემას ვერ ვბედავ. ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი პროექტში ნუ იქნება, მარა შეიძლება მან ადგილი იპოვოს იქ, როცა ის პროექტი აღარ იქნება, არამედ მიღებული პაქტი.

8. და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ პროექტი არ აღნიშნავს, თუ რა ენაზე ექნება მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფოთ საბჭოს. საქმის წარმოება მოსახერხებელია ეროვნულ ყველა ენებზე, მარა ბჭობა?

რაც შეეხება პროექტის ტექსტს, რომელსაც ხელს მოაწერენ სახ. წარმომადგენელნი, ის იქნება შედგენილი ცნობილ დიპლომატიურ ენაზე, ფრანგულზე, რომელსაც თანვე ექნება დართული თარგმანი ოთხ ენაზე.

9. უკანასკნელი შენიშვნაც. მე ვფიქრობ, საჭიროა კონფედედერაციას ყავდეს ფორმალურათ ერთი თავი. ამისთვის მეთერთმეტე მუხლში, სადაც ნათქვამია: «სახელმწიფოთა საბჭოში თითო წლით, მორიგეობით, თავმჯდომარეობს კონფედერაციაში შესულ თითოულ სახელმწიფოს დელეგატი», უნდა დაერთოს: «რომელიც ამავე დროს ითვლება კონფედერაციის პრეზიდენტათ». ან შეიძლება ითქვას შეფათ, თუ რომელიმე წევრს—მაგ. მონაოქიულს (ყველაფერი დასაშვებია—რადგან შინაურ საქმეში ყველა სუვერენია) არ მოეწონება სიტყვა «პრეზიდენტი».

ანჯანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

სულ სხვა იყო დამასკო და მით უფრო ბაღდადი. იქ, წმიდა წყლის არაბები, მოქცეულ სირიელთა, სპარსთა და სისხლშერეულ ახალ არაბთა უმრავლესობასთან შედარებით, ერთ მუჭა ხალხს თუ შეადგენდნენ. ეს ხალხები კი გაჟღენთილი იყვნენ დესპოტიზმის ტრადიციებით და ხალიფებს სრულს მორჩილებას აღუთქვამდნენ. ხალიფებიც უფრო და უფრო ეყრდნობოდნენ ამ მაამებელ ქვეშევრდომთ. მათ რიგებში ირჩევდნენ კარისკაცებს, მოხელეებს და ბოლოს ჯარისკაცთაც. შეურაცხყოფილნი და წყროლით აღვსილნი ამაყი არაბები ნელ-ნელა დაუბრუნდნენ უდაბნოს, ხოლო მთავრობა ძველს აღმოსავლეთურ დესპოტიზმის მზამზარეულ კალაპოტში დგებოდა. როდესაც სახალიფო გადატანილ იქნა აბასიდთა დინასტიის გამეფების შემდეგ ბაღდადს, სპარსელებმა მოიპოვეს უდიდესი გავლენა. სახელოვანი ხალიფი ჰარუნ-ალ-რაშიდი, ათას ერთი ღამის გმირი, იყო აღმოსავლეთ ხელმწიფის ტიპი და ნამდვილი მემკვიდრე ქსერქსესისა და ხოსროსი, აბუბეკრისა და ომარის სრული წინააღმდეგობა. ბაღდადში, როგორც სხვაგანაც, დესპოტიზმი საბედისწეროდ აღმოჩნდა მათთვის, ვინც მას ჰქმნიდა. და მისმა დამღუპველმა გავლენამ ან ჟინიან მტარვალებად ან ჰარამხანის გადაგვარებულ ტიკინებად გადააქცია მაჰმადის მემკვიდრენი, რომელთა სუსტი ხელი სრულებით უძლური ჩყო დიდის მუსულმანურ იმპერიის მართვისათვის.

იმპერია ნელ-ნელა დაკუწმაწდა. სამოქალაქო ომებით შერყეულს, მხნე წინამძღოლთ და უდაბნოს არაბთა განმაძლიერებელ შეუღლებას მოკლებულს პოლიტიკურ ერთობას აღარ შეეძლო გადარჩენა.

ყოველგან იწყო თავის ჩენა თემობრივმა და კუთხურმა განწყობილებამ, რომელიც ჩამქრალი იყო თითქო. თვით სისწრაფე, რომლითაც გავრცელდა ისლამი, ეხლა, რა კი დაშრა ამ განდიდების მასაზრდოებელი წყაროები, მის საწინააღმეგოდ შეტრიალდა. ისლამმა მოაქცია მრავალრიცხოვან ტომთა და რჯულთა მილიონები, მაგრამ მეტად სუსტი იყო მათი შეთვისტომება. მაჰმადმა ნამდვილად მოაქცია არაბეთი, ვინაიდგან ის იყო იმ აზრთა მატარებელი, რომელიც უჩინრად მწიფდებოდა არაბის სულში და შეესაბამებოდა რასის თანდაყოლილ წადილთ. მაგრამ, როდესაც ისლამი მიიღეს სხვა ხალხებმა, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არაბთა მოდგმას, იმათ თავიანთ რასისა და კულტურის განსაკუთრებულ თვისებათა თანახმად განმარტეს წინასწარმეტყველის სამოციქულო, და ამას შედეგად მოჰყვა პირველყოფილ ისლამის გადასხვაფერება და დამახინჯება. ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცა სპარსეთმა, სადაც მაჰმადის სასტიკი ერთღვთიანობა (მონოტეიზმი) გადიქცა დახლართულ, საიდუმლო ღვთის მსახურებად. შიიზმის სახელით, რომელმაც მალე ჩამოაშორა სპარსელები მართლმადიდებელ მუსულმანურ ქვეყნიერობასთან წინანდელ სრულ ერთობას. ცვლილების ასეთმავე მიმართულებამ, თუმცა ცოტა უფრო ნაკლებ, თავი იჩინა წმინდანების თაყვანისცემაში ჩრდილო აფრიკეთის ბერბერთა შორის და ინდოეთის მუსულმანთა მრავალ ღმერთიანობაში. ამ ცვლილებებს უეჭველია, მაჰმადი დაგმობდა.

ისლამის მოძღვრების რღვევასთან ერთად პოლიტიკური ერთობის რღვევაც სწარმოებდა.

პირველი ნამდვილი რღვევა მოჰყვა აბასიდების გამეფებას. დამხობილ ომეადთა გვარის ერთი წევრი ისპანეთში გაიხიზნა; ეს სახალიფო კანონიერად იცნეს არა მხოლოდ ისპანეთის მუსულმანებმა, არამედ ჩრდილო აფრიკეთის ბერბერებმაც; შემდეგში ერთი სხვა სახალიფოც გაჩნდა ეგვიპტეში-ფატიმიტთა სახალიფო, რომელიც მაჰმადის ქალიშვილის ფატიმისაგან წარმოდგებოდა და მისი სახელიც დაირქვა. რაც შეეხება ბაღდადელ აბასიდ ხალიფებს, მათი ძლიერება ნელ-ნელა ეცემოდა იმ დრომდე, როდესაც ისინი უბრალო ტიკინებად გადიქცნენ ახალის რასის, თურქების ხელში.

ვიდრე ძალა-უფლების ახალ არაბთაგან თურქების ხელში გადასვლის აწერას შეუდგებოდეთ, რაიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ისლამის ქვეყნიერობის ისტორიისათვის, საჭიროა განხილვა კულტურისა და გონებრივ ძლიერების დაცემისა, რომელიც იმავე დროს მოხდა, როგორც პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ერთობის დარღვევა, ახალ არაბულ ეპოქის უკანასკნელ ხანებში.

მაჰმადის დროის არაბები წარმოადგენდნენ ახალ ხალხს, გაურყვნელს, პირველ ყოფილ ძლიერებით სრულიად აყვავებულს, ავანტურის მაძებარს, ხალხს, რომელსაც ასულდგმულებდა მაღალი იდეალი. მართალია, ებრაულ ფანატიზმსაც ჰქონდა თავისი წილი მათს ხასიათში; მაგრამ, თუმცა ფანატიკოსები იყვნენ, მაგრამ არა ფარისევლები; მათი გონება არ იყო დახშული, არამედ ღია. მტკიცედ ადგნენ თავიანთ რჯულის ძირითად დებულებებს, ხოლო თვით რჯული უკიდურესად მარტივი იყო. მაჰმადის მოძღვრების შინაარს შეადგენდა თეიზმი (აღიარება ერთის ღმერთის არსებობისა) და რამოდენიმე განსაზღვრული წესი. სასტიკი რწმენა იმისა, რომ ღმერთი ერთია; არა ნაკლებ სასტიკი რწმენა იმისა, რომ მაჰმადი ღვთიურ მოვალეობის *) აღმასრულებელი იყო, ისე როგორც ეს განმარტებულია ყურანში, და ზოგიერთი ნიშანდობლივ გარკვეული მოვალეობა,—ლოცვა, დაბანა, მარხვა, მოწყალება და წმ. ადტა უფრო ნაკლებ, თავი იჩინა წმინდანების თაყვანისცემაში ჩრდილო აფრიკეთის ბერბერთა შორის და ინდოეთის მუსულმანთა მრავალ ღმერთიანობაში. ამ ცვლილებებს უეჭველია, მაჰმადი დაგმობდა.

---

*) საჭიროა ღვთიურ მოვალეობის აღსრულების და თვით ღვთაებრიობის სასტიკი გარჩევა. მაჰმადი არა თუ ღვთაებად არ სახავდა თავის თავს, არამედ უარსყოფდა ამ ხასიათის ყოველსავე ნიშანსაც კი. თავის თავს ის უყურებდა, როგორც ღმერთისაგან შთაგონებულ წინასწარმეტყველთა რიგის უკანასკნელ წარმომადგენელს, იმ რიგისას, რომელიც ადამით იწყებოდა და მოსეზე და ქრისტეზე გადმოსული თავდებოდა მასზე, უკანასკნელ და უნამდვილესს ღვთიურ გამოცხადების მატარებელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილთა მოლოცვა—მხოლოდ ეს შეიცავდა ისლამს:

ასეთს სადა ღვთისმეტყველებას არ შეეძლო შეებორკა არაბის გონება, ისეთი ფხიზელი, ისეთი ცნობის მოყვარე, ისეთი ხარბი სწავლისა და ისეთი განწყობილი უფრო სრულ და რთულ პირობებთან შეგუებისთვის, ვიდრე გადამწვარ უდაბნოს ჩარჩოებში მოიძებნებოდა. მეორე მხრით, არაბები მათ მიერ დაპყრობილ უფრო განვითარებულ საზოგადოებათაგან მატერიალურ გამორჩენასა და მათ ფუფუნებას კი არ ეძებდენ მხოლოდ, არამედ აფასებდენ ხელოვნებას, მწერლობას, მეცნიერებას და ამ უფრო ძველ ცივილიზაციათა აზრებს.

ამ ახალ ამღზნებ საშუალებათა ზეგავლენა გამოიხატა იმ შესანიშნავ გონებრივ აღყვავებაში, რომელიც რჩება სარკინოზთა ცივილიზაციის დიდებად. ერთხანს აზროვნება შედარებით თავისუფალი იყო და უხვად წარმოიშვა ორიგინალური აზრები და გაბედული თეორიები. ეს არ იყო მხოლოდ არაბთა ღვაწლი, არამედ აგრეთვე მათ ქვეშევრდომთა ქრისტიანების, ებრაელებისა და სპარსელების, რომელთაგან მრავალი ერეტიკოსები იყვნენ, რომელნიც წინად რკინის ჯაჭვებით ჰყავდა შებორკილი ბიზანტიურ მართმადიდებლობისა და სპარსეთის მოგვობის იუვანობას.

მაგრამ ეს სინათლის ხანა ნელ-ნელა დაბნელდა. გამოჩნდენ რეაქციის ძალები, რომლის ძლიერებამ იმატა. ლიბერალები, რომელთაც «მოტაზელიტების» სახელით იხსენიებენ საზოგადოთ, ერთგულები დარჩნენ პირველყოფილი ისლამის მოძღვრების სიმარტივისა და გარდა ამისა ამბობდნენ, რომ ყოველივე საგნის საზომი გონება უნდა ჰყოფილიყო; ხოლო, მეორეს მხრით, კონსერვატული სკოლა ამტკიცებდა, რომ ეს საზომი უნდა ჰყოფილიყო წინად არსებული პრეცენდენტი და ავტორიტეტი. კონსერვატორებმა, რომელთა შორის მრავალი იყო ისლამში გადასული ქრისტიანი, ჯერ კიდე გაყღენთილი ბიზანტიურ მართლმადიდებლობის ტრადიციებით, უშველებელ შრომას მიჰყვეს ხელი: ყურანის განმარტებას და ამას გადააბეს კოდიფიკაცია (შეგროვება) და განმარტება მაჰმადის მიერ ვითომდა ნათქვამისა და იმ სახით, როგორც ამას გადმოსცემდენ მისი მოწაფენი და უშუალო მომსწრენი. ამ შრომის შედეგი იყო, რომ თანდათან წარმოიშვა მუსულმანური ღვთისმეტყველება და სქოლასტური ფილოსოფია ისეთივე უხეში, ისეთივე რთული და ისეთივე დოღმატური, როგორც იყო საქრისტიანო დასავლეთს საშუალო საუკუნოებში.

ბუნებრივია, რომ რაციონალიზმისა და ტრადიციონალიზმის დაუნდობელმა ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა. მაგრამ მისი საბოლოო შედეგი არაფერს მოულოდნელს არ წარმოადგენს. ყველაფერი ხელს უწყობდა დოღმის გონებაზე გამარჯვებას: მართლადაც აღმოსავლეთის ისტორიული მიდრეკილება (რომელსაც უმთავრესად რასისა და ჰავისაგან დამოკიდებული ფაქტორები ჰქმნიდნენ) თვით მპყრობელობისაკენ იწევდა. ეს მიდრეკილება ერთხანს შესწყვიტეს უდაბნოს მკაცრმა და სრულის თავისუფლების მოყვარულთ, მაგრამ სასულიერო დემოკრატიის, ე. ი. ხალიფობის, დესპოტიად გადაქცევით წახალისებული ძველი მიდრეკილება მალე ისევ განმტკიცდა.

თვითმპვრობელობის ამ გამარჯვებამ პოლიტიკურ სფეროში, ნიადაგი მოუმზადა მის მომავლ გამარჯვებას აგრეთვე ყველა დანარჩენ სფეროებშიაც, რადგან დიდის ხნით დესპოტიზმს იმდენადვე არ შეუძლია შეურიგდეს აზროვნების თავისუფლებას, რამდენადაც არ ურიგდება იგი მოქმედების თავისუფლებას. მართალია, დამასკოს ზოგიერთი ხალიფი მოთაზელიტობდა, ე. ი. ლიბერალობდა, რადგან ომეიადები მეტნაწილად გამსჯელი ხალხი იყო და თავისუფალი აზრი იზიდავდა მათ გონებას. მაგრამ ხალიფები მალე მიხვდნენ, თუ სად მიჰყავდა პოლიტიკურ ლიბერალიზმს. მოთაზელიტები არ კმაყოფილდებოდნენ ფილოსოფიურ აზროვნების სამეფოში კარჩაკეტილობას. ისინი უფრო საშიშ ნიადაგზე მოძრაობდენ. მათი ხმა ისმოდა მექას სახალიფოს დემოკრატიულ ეპოქის მოსაგონებლად, როდესაც მორწმუნეთა წინამძღოლი იყო არა შთამომავლობით მონარქი, არამედ ხალხისაგან არჩეული და საზოგადო აზრის წინაშე პასუხისმგებელი. ზოგი უფრო გაბედული იქამდისინაც მიდიოდა, რომ კავშირს იჭერდა არაბეთის შუაგულ მრისხანე და ფანატიკოს სექტებთან, მაგ. ქარიჯიტებთან, რომელთაც უდაბნოს ძველი თავისუფლება შეენახათ, ხალიფას არ სცნობდენ და დაწინაურებულ რესპუბლიკანობის თეორიებს აღიარებდნენ.

ხალიფებიც უფრო და უფრო კონსერვატორ ღვთისმეტყველებს უბრუნდებოდნენ ლიბერალების წინააღმდეგ და თან მონარქისტ ახალ არაბებს უწევდნენ მფარველობას უპირატესად უდაბნოს შეურიგებელ წმინდა წყლის არაბებისა. აბასიდების მეფობის დროს მთავრობამ აშკარად დაუჭირა მხარი რელიგიურ თვითმპყრობელობას. დაწესებულ იქნა დოგმატურ მართლმადიდებლობის კანონები, სდევნიდნენ და სიკვდილით სჯიდნენ მოტაზელიტებს და მე-12 საუკუნეში აღმოფხვრილ იქნა სარკინოზული ლიბერალიზმის უკანასკნელი ნიშნები. მუსულმანურ აზროვნების მრწამსი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ყოველივე შემოქმედებითი მოქმედება მოისპო. გაჰქრა მოტაზელიტების დიდ სწავლულთა ხსოვნაც კი. მუსულმანური გონება დაიხშო და მხოლოდ ჩვენს დროს უნდა გაღვიძებულიყო.

მე-11 საუკუნის დასაწყისს სარკინიზულ ცივილიზაციის დაცემა იმდენად ცხადი იყო, რომ ცვლილების სუნი ჰაერში იდგა. პირველყოფილ ძლიერების დაკარგვის შემდეგ ახალ-არაბები ხედავდნენ, როგორ გადადიოდა სხვის ხელში მათი პოლიტიკური ძალა. ახალ-არაბთა მემკვიდრეებად მოვიდნენ თურქები, თურქები იყვნენ დასავლეთის შტო მომთაბარე თემების იმ რასისა, რომელიც უხსოვარ დროიდგან დაწანწალებდა აღმოსავლეთ და შიდა აზიის უსაზღვრო მინდვრებზე (სტეპებზე) და რომელსაც იხსენიებენ «ურალო—ალტაის» ან «თურანელ» ხალხების სახელით. მას შემდეგ რაც ისლამმა სპარსეთი დაიპყრო, სადაც თურქები განუწყვეტლივ არბევდნენ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს და სადაც მუსულმანი სარდლები პირველად შეეყარნენ მათ, არაბები აღარ დაშორებიან თურქებს. ხალიფობის ბედნიერ დროს თურქების არ ეშინოდათ. პირიქით, გამოსადეგ ძალად სთვლიდნენ. გონება მძიმე და აზრებით ღარიბი თურქები ორ საქმეში შეუდარებელნი იყვნენ: იცოდნენ მორჩილება და იბრძოდნენ შმაგივით. ხალიფები აღტაცებული იყვნენ ამით და უფროდაუფრო აჰყავდათ თავიანთ ჯარში და სასახლის მცველ რაზმში.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ა. კავკასიის რკინის გზების მუშაობა თებერვლის განმავლობაში კიდევ გაუარესდა.

— დიდი თოვლის შემდეგ საქართველოში მოელიან მდინარეების ადიდებას და დიდს ზარალს.

— მე-17 პარტ. კონფერენციაზე კავკასიელმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ საჭიროა გარკვეული პოლიტიკა სოფლად: ან მარჯვნით, ან მარცხნით. თუ მარჯვნით მივდივართ, შეურიგდეთ გლეხობას, თუ მარცხნით—პირდაპირ ვუთხრათ, რომ გვინდა მათი ექსპლოატაცია სოციალიზმისათვის.

— სამხედრო კომისარმა ვოროშილოვმა წითელ არმიის მიმართ ბრძანება გამოსცა, სადაც გულახდილად აღიარებს, რომ წითელ არმიელთა წყალობით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანშიო.

— სტამბოლში იტყობინებიან ბაქოდან, რომ ბოლო დროს კავკასიაში ძლიერ გაიზარდა რუსოფობური მიდრეკილება.

— ბათომიდან იტყობინებიან, რომ უცხოეთიდან დაბრუნებულ სომხებს ჩეკამ მკაცრი ჩვენება ჩამოართვა, რის შემდეგ 30 კაცი დაატუსაღეს, ხოლო ორი ათასი თურქესტანის და აზერბეიჯანის პლანტაციებში გაგზავნეს იძულებით სამუშაოზე.

უკრაინელთა შიერის

მოსკოვის მთავრობამ, რათა უკეთ ებრძოლოს ეროვნულ და ანტიკომუნისტურ მოძრაობას, მთელი უკრაინა ხუთ გუბერნიად გაჰყო და ადგილობრივ მთავრობას თითქმის ყოველივე ძალა ჩამოართვა. თითოეულ რაიონის გამგედ დანიშნულია სპეციალური კომისია, სრულიად საიმედო ცხრა კომუნისტისაგან შემდგარი, და მას მინიჭებული აქვს წინანდელ გენერალ გუბერნატორების უფლებანი.

— უკრაინაში გახშირდა კომუნისტების თვითმკვლელობა. ერთმა მათგანმა ცნობილმა კომუნისტმა ივანე მადნიკმა თავის მოკვლის წინ წერილი დასტოვა, სადაც ამბობს, რომ უკრაინაში ცხოვრება აუტანელი გახდა იმათვის, რომლებიც მთლად არ ეყმენ მოსკოვს.

— მოსკოვის ბრძანებით გადააყენეს უკრაინულ საფილმო ტრესტის ხელმძღვანელნი იმისთვის რომ ეროვხულ მიმართულების ფილმებს ავრცელებდენ.

თურქესტანში

ხუთ თვეზე მეტია, რაც კრასნოვოდსკიდან მერვამდის ნამდვილი საომარი მდგომარეობაა დამყარებული. ეს არაა ჩვეულებრივი ბრძოლა ბასმაჩების წინააღმდეგ, მთავრობა აწარმოებს ომს მშვიდობიან ხალხთან, რომელიც აქამდის ყველაფერში ემორჩილებოდა კომუნისტებს, მაგრამ დღეს დაუსრულებელმა დარბევამ და ძარცვამ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და იარაღით ცთილობს თავის დაცვას. მას შემდეგ, რაც შეძლებული ელემენტები სრულებით მოსპეს და გაანადგურეს, ახლა ხელი მიყვეს უღარიბეს მცხოვრებლების ტყავის გაძრობას. ამიტომ ხალხი სტოვებს სახლკარს, გარბის უდაბნოებსა და მთებში და გამწარებული ებრძვის მთავრობას. უკანასკნელი ყოველ ზომას მიმართავს, ჰაეროპლანებს და გაზიან ყუმბარებსაც ხმარობს. სწყვეტენ არა მარტო ადამიანებს, არამედ შინაურ საქონელსაც.

ქართველები გერმანიაში

27 იანვარს, ნინოობას, ბერლინის ქართველთა საზოგადოებამ, გადაიხადა ამ საზოგადოების არსებობის 10 წლის თავი. კრებას ქართველობა ბევრი დაესწრო. მიხ. წულუკიძემ გააკეთა მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ დღიდან მისი დაარსებისა 1921 წელს.

მოხსენების შემდეგ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დახოცილთ, წამებულთ და მადლობა გამოუცხადა ბ. გრ. დიასამიძეს, საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს და მის პირველ თავმჯდომარეს იმ მუშაობისათვის, რომელიც მას საზოგადოებისათვის გაუწევია. დღის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა ბ. გ. გელაზანიამაც. ამის შემდეგ გაიმართა ბაასი თემაზე «ქრისტიანიზმი და კულტურა», «წმ. ნინო და ქართული კულტურა». ამ ბაასს, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ბბ. გრ. დიასამიძემ, გ. კერესელიძემ, მიხ. კაუხჩიშვილმა, მიხ. წულუკიძემ, მეტად საინტერესო ხასიათი მიეცა. კოლონიის გამგეობა ამ დღეს ქართველ ბავშვებს საჩუქრებით გაუმასპინძლდა.

30 იანვარს ბერლინის ქართველობამ გადაუხადა ბ. გრ. დიასამიძეს იუბილე მისი ორმოცი წლის საზოგადო და სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად. მისალოც სიტყვებს მოყვა ბავშვების ლექსები, ქართული ცეკვა, ვახშამი, ქართული ჰანგები გერმანულ ორკესტრის, ქართული სიმღერა. გრ. დიასამიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ყველას პატივისცემისათვის.

მ.—ანი.

ისევ მსხვერპლი

ამა მარტში შესრულდა წლისთავი, რაც საზღვარგარეთელ ქართველმა მებრძოლმა ორგანიზაციამ იპოლიტე ბესელიას სახით დაკარგა მშობელი ერის ერთი დიდი მოსიყვარულეთაგანი. თვალწინ მიდგას მისი რაინდული შეხედულება, ჩაფიქრებული სახე, რომელთან უკანასკელი შეხვედრა მქონდა გასული წლის თებერვლის მიწურულში. «რა შემიძლია შევსწირო ჩემს საყვარელ სამშობლოს ან რას მომთხოვს იგი ჩემს ნორჩ სიცოცხლის მეტს»ო, იყო იპოლიტეს უკანასკნელი სიტყვა, ამონახეთქი გულის სიღრმიდან. ეს თითქოს ბისი ანდერძი იყო...

მანქანა შენელებული ტემპით აგრძელებს გზას, წამსვლელი ჩქარი ნაბიჯით უახლოვდება, სხდება. მანქანა თვალის დახამხამებაში იკარგება თვალთახედვიდან და მას გაყვა იშვიათი, ყოველ საკითხში მიუდგომელი მეგობარი...

დაბრუნების დანიშნული რიცხვი ახლოვდება, აუწერელი ნერვიულობა სუფევს. აგერ კიდევ გადის დრო. დაიგვიანა. მოთმინების ფიალა აივსო. დაბრუნების მაგივრად საზარელი ცნობაა: ღამით 9 მარტს საზღვართან გადმოსვლისას ჯალათებთან უთანასწორო ბრძოლაში მტრის მიერ ტყვიით განგმირული დაეცა იპოლიტე იმ რწმენით, რა რწმენით გაემგზავრა სამშობლოში. მტერი მოტყვილდა: მას ხელთ შერჩა უსულო გვამი; დაკისრებული მისია კი ღირსეული შვილის მიერ მტკიცედ იქნა შესრულებული.

დიდი ხანია ქართველი ერი აწარმოებს ბრძოლას უთანასწორო მტერთან; ცივი ადგილები ვეებერთელა რუსეთისა გატკეპნილია ქართველი ერის საუკეთესო შვილების მიერ. მასიური გამოსვლა პიროვნულზე გადადის და ასეთების უსახელო საფლავი აუარებელი მოიპოვება, როგორც სამშობლოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ასეთ უსახელო საფლავს ეკუთვნის იპოლიტეს საფლავი. გაივლის დრო, განთავისუფლებული სამშობლო შეეცდება ასეთი მსხვერპლების ნეშტები გადატანილ და დასვენებულ იქნეს ეროვნულ პანთეონში.

ამ ბედნიერ დღეს არ უნდა დავივიწყოთ 9 მარტის ღამის მსხვერპლნიც.

ფთარი.

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის ანგარიშები

1932 წლის 7 იანვრიდან 15 მარტამდის.

კომიტეტმა დაიწყო თავისი მოქმედება ამა წლის 7 იანვარს, როდესაც მან მიიღო ინიციატორთა ჯგუფისგან 235 ფრანკი. მან აწარმოვა უმუშევართა რეგისტრაცია, რომლის თანახმად პარიზში არის 78 უმუშევარი ქართველი (ნამდვილად კი, ალბათ, ბევრად მეტი), რომელთაგან მუნიციპალურ დახმარებას იღებენ მხოლოდ 26-ნი.

კომიტეტმა დახმარება აღმოუჩინა უმუშევრებს შემდეგი სახით: 14 უმუშევარი სხვადასხვა ადგილზე სამუშაოდ მოაწყო. 52 უმუშევარს მისცა 780 სადილი. 18 უმუშევარს მისცა 188 სანოვაგის ბონი. 20 უმუშევარს სერტიფიკატები სანოვაგის უფასოდ მისაღებად, და გზის ფულით დახმარება. 2 უმუშევარი ჯერ საავადმყოფოში და მერე თვე-ნახევრით დასასვენებლათ მოაწყო. 10 უმუშევარს აღმოუჩინა სხვადასხვა იურიდიული დახმარება (კარტდიდანტიტეს შესახებ).

ამ სხვადასხვა სახის დახმარების საწარმოებლად დაიხარჯა 3.872 ფრ. 50 სან. მიღებული გვქონდა კი (იხილეთ ქვევით შემოწირულებათა დაწვრილებითი სია) 4.472 ფრ. კასაში რჩება 599 ფრ. 50 სანტიმი.

სრული სია მიღებულ შემოწირულებათა:

საქართველოს მთავრობა 500 ფრ., ჭლექით დაავადმყოფებულთ დამხმარე საზოგადოება 500 ფრ., ანონიმ. (ქალბ. ჰელმის ხელით) 500 ფრ., ანონიმ. (ქალბ. ავალიშვილის ხელით) 400 ფრ., ქართული კომიტეტი პოლონეთში 350 ფრ., ანონიმ. (ბ-ნ ე. გეგეჭკორის ხელით) 200 ფ., m-elle Rumen 200 ფრ., ნ. ციხლაძე 150 ფ., m me Pigier 100 ფრ., დ. სხირტლაძე 100 ფრ., კ. კახიანი 100 ფრ.; მაიორი თევზაძე, ლეიტენანტები: თიბაძე, კიკნაძე, ხელაძე, დ. ყიფიანი, ნანუაშვილი, ხუნდაძე და კაპიტანი მაჭავარიანი 375 ფო.; ორმოცდაათ-ორმოცდაათი ფრ. აკ. ჩხენკელი, ევ. გეგეჭკორი, კ. ჯაყელი, ქ-ნი ელ. დემოლონ, რ. ინგილო, m-me Jules Peugeot, m-elle Geuevière Duverney, m-me Puget, m-r Toussaint; ალ. ასათიანი 40 ფრ.; m-me Michel Peugeot 30 ფრ., m-me Auguste Bosquette 30 ფრ.; ს. კობიაშვილი 25 ფრ.; ოც-ოცი ფრ.: კ. კანდელაკი, ელ. დეკანოზიშვილისა, დ. ჭიაბრიშვილი, ანტ. ქორქოლიანი, m-me Jeau Bosquette, m-me Edouard Japy, m-me Marsel Duverney, m-me Marsel Bosquette, D r Bené Duverney, m-me Heuri Peugeot, ელ. აფხაზისა, ივ. ზურაბიშვილი; თუთხმეტ-თუთხმეტი ფრ.: კ. გვარჯალაძე, კ. საბახტარაშვილი, ნ. ნიჟარაძე, გრ. უჩაძე, m me Georges Japy; ათ-ათი ფრ.: შ. აბდუშელიშვილი, ივ. ჭავჭანიძე, ზ. ჩიჩუა, გ. ჟელენტი, ერ. ურუშაძე, m-me Marsel Japy, m-me Albert Japy, m-me Jacques Peugeot; ხუთ-ხუთი ფრ.: შ. ქარცივაძე, პ. სარჯველაძე, ლ. ურუშაძე, m-me Huguens, Anon. (par m me Duverney); თინა სარჯველაძის ასული 2 ფრ. სულ 4.472 ფრ.

კომიტეტი მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ და ერთხელ კიდევ მოაგონებს მათ, რომ გაჭირვება დიდია, რაც საჭიროთ ხდის ყოველთვიურ დახმარებას.

Le comité d' aide aux chômeurs Géorgiens prie ses amis français—qui se sont montrés si généreux à l' égard de la misère géorgienne,—de vouloir bien trouver ici l' expression de sa profonde reconnaissance.

Le comité ose espérer que ces amis, voudront bien continuer a l' aider tout par la qropagande que par de subventions reguliéres, aussi minimes qu'elles soient.

Merci d' avance.

კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ჰელმისა.

ხაზინადარი პ. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ამბები

არჩილის თაყის-განწირვა.

მეფე არჩილ ჯერ მცირე ყრმა იყო, როცა არაბები შემოესიენ საქართველოს 638 წ. მამა მისმა სტეფანოზმა, რომელმა ვერ იკადრა სახელი შეფობისა, სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ იწოდებოდა მხოლოდ ერისთავთა მთავრად, სარკინოზნი *) რომ სპარსეთში შემოვიდნენ,—ყოველი საგანძური ფარულ ადგილებში დამარხა და მთელი სახლეულით ეგრისში **) გადავიდა. მოკვდა იქ სტეფანოზ და მეფეებად გამოცხადდენ შვილნი მისნი მირ და არჩილ, და მათი ეგრისში ყოფნის დროს, მოვიდნენ პირველად არაბნი ქართლს. წინამძღოლობდა მურვან, ბიძა ხალიფისა, კაცი მეტად მკაცრი და ულმობელი, რომელიც სიტყვის შებრუნებას და საჩივარს არავისგან მიიღებდა, და ამიტომ ეძახდნენ მას ყრუს, მურვან ყრუს.

მოეფინა მურვან ყრუ თავის ჯარით ქართლს, ვითარცა ღრუბელი ბნელი, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქვეყანისა. გადავიდა სამცხეს, შემუსრა ყოველნი ციხენი და დაანგრია ოძრხე (დღევანდელი აბასთუმანი), რომელი იყო ქალაქი სახელოვანი. წამოემართა არგვეთად, გასწყვიტა ურიცხვნი და მისცა მრავალთა სატანჯველთ დავით და კოსტანტინე. შეესია სამეგრელოს აფხაზეთამდე, მიწასთან გაასწორა ქალაქნი და დაბანი, აღაოხრა და უკაცურ ჰყო ქვეყანა მეგრელთა და აფხაზთა და არღარა იპოვებოდა არცა ნაშენები, არცა საჭმელი კაცთა და პირუტყვთა. ხოლო მეფენი გამაგრდნენ ანაკოფიას (აფხაზეთში).

სთხოვეს შეწევნა საბერძნეთის კეისარს მირმა და არჩილმა, ხოლო უმწეო იყო თვითონ და ნუგეშინის და გამხნევების წიგნი ღა მოუწერა მეფეებს. ვერ უმკლავდებოდენ ქართველნი სარკინოზთა სიმრავლეს, მხოლოდ ერთხელ შესძლეს დიდი მარცხის მიყენება და მრავალი ჯარი გაუწყვიტეს მტერს აბაშისა და ცხენის წყლის ნაპირებზე...

დასტოვეს არაბებმა საქართველოს ციხეებში თავისი კაცები, დაადვეს ხარკი ერისთავთ და გაბრუნდნენ უკან თავის ქვეყანაში. გარდაიცვალა მირ და დარჩა მეფედ არჩილ. დაუმადლა აფხაზეთის ერისთავს კეთილისა მსახურებისა და სტუმრობისათვის, მისცა მას ცოლად თავის ძმის წული, დაუმტკიცა ქვეყანა კელასურით ხახარეთის მდინარემდე (ყუბანი) და ჰყვეს აღთქმა და ფიცი ერთგულობისა.

შეუდგა არჩილ დანგრეულ ციხეთა და ქალაქთა აღდგენას, გაამაგრა ეგრისი შორაპნამდე. გადმოვიდა და დაიწყო შენება ქართლისა. შემოგომად დაისადგურა კახეთს და აღაგო სიმაგრენი და ეკლესიანი.

«და ვითარ გარდახდეს ამას შინა წელიწადნი ორმეოცა და ათნი, კვლავ მოვიდა ჟიჟუმ ასიმ, ნათესავი მოჰამედისი, მოაოხრნა და შემუსრნა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა კახეთად, მოაოხრა და ყოვლითურთ უმკვიდრო ჰყო. და იყო შიში დიდი ყოვლისა ერისა და არა შემძლებელ იყვნეს წინააღდგომად, რამეთუ განერყვნა ქვეყანა ყრუსა და თუმცა მრავალთა ჟამთა განვლეს მშვიდობით, მაგრამ არღარა მოგებულ იყო კვალსავე თვისსა».

ესეთი გასაჭირი რომ ნახა მოხუცმა არჩილ მეფემ, გადაწყვიტა მისვლა ჟიჟუმ ასიმთან, რათა ითხოვოს მისგან მშვიდობა ქვეყნისა, დაცვა ეკლესიათა და არა დაპატიჟება სჯულისა დატევებისათვის. ჟიჟუმ სიხარულით მიეგება მეფეს, დიდება სცა და შეიყვარა სისრულე ჰასაკისა და მშვენიერება პირისა მისისა. ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა დაუწყო ლიქნით სიტყვა—დასტოვოს ქრისტიანობა და მიიქცეს სარკინოზად და აღუთქმიდა ნიჭთა დიდთა. არჩილმა მიუგო: «ნუ იყოფინ! მე ვარ მეფე ქრისტეანეთა და არა ჯერ არს ვუღალატო ერსა და ღმერთსა ჩემსა».

მაშინ ჟიჟუმ უბრძანა შეპყრობა მისი და ჩაგდება საპყრობილეში.

რამდენისამე დღის შემდგომად გამოიყვანეს არჩილ და წარუდგინეს ჟიჟუმ ასიმს და უთხრა კვლავ მან: «შენ იყავ მამასთან შენთან, რა ჟამს იგი დაფვლიდა ქართლისა საგანძურთ, და იცი ისიც, თუ სად დაფლა ჰერაკლემ საგანძურნი ბერძენთა. მიჩვენე და მოიქეც სჯულსა ჩემსა და გყო სპასალარი ქვეყანასა ზედა ქართლისასა და განგადიდო წინაშე ჩემსა». და კვლავ მიუგო არჩილმა: «მცირე ვიყავ ჰასაკითა, ოდეს ჰერაკლემ კეისარმა განვლო ქვეყანა ესე, ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დახსნეს ყოველნი საგანძურნი ციხესა აფხაზეთს, რომელი აწ აქვთ ბერძენთა». ჰკითხა ასიმ: «შენ იყავ აფხაზეთს, როს სარკინოზნი დაეცნენ ქართველთ?» ჰრქვა არჩილ: «მე ვიყავ მაშინ, რა ჟამს ქართველთ დასცნენ და შემურნეს სარკინოზნი და ღმერთი ცხოველი ქრისტე იყო მათთან!»

განრისხდა ჟიჟუ ასიმ და დაიყვირა: «რომელი ღმერთი? ერთ არს ღმერთი და მოჰამედია მოციქული მისი, და არავინაა, რომელი წინააღუდგეს მას!»

და ბრძანა სიკვდილი არჩილისა. წაიყვანეს მტარვალთა და მოკვეთეს თავი მახვილითა.

ხოლო მოვიდნენ ღამე გოდერძიანი ტბელნი და მათთანა სხვანიცა, მოიპარეს გვამი არჩილისა, შემურეს დიდითა პატივითა და დამარხეს ნოკტორას, მის მიერ აღშენებულ ეკლესიას.

ს. ტ.

*) სარკინოზ, სარაცინ—არაბი, საზოგადოთ მაჰმადიანი.

**) ეგრისი—სამეგრელო, საერთოდ ლიხთ—იმერეთი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

საქართველოს ისტორია

მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდან 26 მაისამდე.

დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, შ. რუსთველის

და ერეკლე მეორის პორტრეტებით.

გამოცემა «დამოუკიდებელ საქართველოსი».

ფასი ხუთი ფრანკი.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.